ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 7 დეკემბერი, 2023 №241 (9277) ფასი: 80 თეთრი


გვ.3

პოლონეთში საქართველოს 3 მოქალაქე 19 წლის გოგონას გატაცების ბრალდებით დააკავეს

პუტინის აგარაკი ბიჭვინთაში 1 ლარად?! — რა ელით აფხაზებს


გვ.5

# „გიორგი გახარია გააქტიურდება და ყველაფერს იტყვის!“



გვ.2

კახა ქემოკლიძე: „ნაცმოძრაობა როგორც კი დასრულდება, „ქართული ოცნებაც“ მაშინვე დამარცხდება!“




გვ.3

დავით დარჩიაშვილი: „სავსებით შესაძლებელია, ორბანი პუტინის დავალებას ასრულებდეს და მოსკოვთან შეთანხმებით მოქმედებდეს“

## „ოპოზიციის დღევანდელი მდგომარეობა „ქართულ ოცნებას“ საქმეს ძალიან უადვილებს“

„ყოლბაიამ შამბას ძმის გარდაცვალება მიუსამძიმრა, დე ფაქტო ხელისუფლებასთან სხვა კონტაქტი არ გვაქვს“ გვ.3



ჯემალ გამახარია: „აფხაზურმა მხარემ მოითხოვა, ჩვენებს ე.წ. ხელოვნური საზღვარი საზღვარგარეთის პასპორტებით უნდა გადაელახათ“

მოასწრო თუ არა ფარცხალაძემ საქართველოდან ფულის გატანა?


გვ.3


გვ.4

„თეზისები კონტრშეტევის ჩაშლის შესახებ გაზვიადებულია“

ამბები აფხაზეთის ომიდან


გვ.5

## როგორ დაიცვა კოდორის ხეობა მხედრიონმა

გეგა გეგეშიძე: „ქორების გამო პრეზიდენტობიდან გადადგომას არ ვაპირებ“


გვ.6


გვ.7

ლელოს წინ გაჭრის საშუალება ხვამლმა არ მისცა

1993230720223

2 ბათუმში მანქანა ავტობუსს დაეჯახა — დაშავდა 3 ადამიანი

3 გორის ერთ-ერთ სოფელში მაღაზიიდან 100 ლარის ღირებულების ყველის ნაწარმი მოიპარეს

6 რუსეთის არმიაში დეზერტირების რაოდენობა გაიზარდა

6 ქალი მოღალატე ბოიფრენდზე შურისძიების მიზნით გაშიშვლდა

# „გიორგი გახარია გააქტიურდება და ყველაფერს იტყვის!“

## კახა ქემოკლიძე: „ნაცმოძრაობა როგორც კი დასრულდება, „ქართული ოცნებაც“ მაშინვე დამარცხდება!“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარტია „საქართველოსთვის“ გენერალური მდივანი კახა ქემოკლიძე პასუხობს.





***– ბატონო კახა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს? თქვენი პარტიის თავმჯდომარის, გიორგი გახარიას მუქარანარევმა განცხადებამ ბევრი კითხვის ნიშანი დატოვა საზოგადოებაში. რა იცის გახარიამ, ვის გულისხმობდა? ან როდის აპირებს ყველაფრის თქმას? ან ეს ინფორმაციები თუ ჰქონდა, აქამდე რატომ არ ისაუბრა? არჩევნებს ელოდა?***

– გიორგი გახარიას განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ 20-25-მა ოჯახმა დაიწყო გამდიდრება, ეს არის შემდგარი ფაქტი. თითქოს მაშინ, როდესაც ქართული ეკონომიკა იზრდება, მათემატიკურად დადასტურებულია, რომ საქართველოს ყველაზე ეფექტიანი ფენა, ყველაზე ეფექტიანი სოციალური ნაწილი, მიდის ქვეყნიდან. რატომ? იმიტომ, რომ ადამიანებს უბრალოდ შემოსავალი აღარ ყოფნით. ფასები ისეთ დონეზე გარბის, რომ ადამიანები ველარ არსებობენ. აქ ისმის კითხვა, მაშინ სად მიდის ეს ფული?! ეს ფული მიდის სწორედაც ე.წ. ელიტურ კორუფციაში! მთავრობასა და მმართველ პარტიასთან დაახლოებულ სხვადასხვა ბიზნესელიტების ჯიბეებში, რომლებიც, პირდაპირი მნიშვნელობით, მიბმულები არიან აღმასრულებელ ხელისუფლებასთან, საპარლამენტო გუნდთან ან პარტიასთან. ბატონმა გახარიამ რაც ახსენა, სწორედ ეს იგულისხმა.

***– ვინ არიან ეს ადამიანები?***

– ძალიან მკაფიოდ შემიძლია გითხრათ, რომ ეს ადამიანები ჰაერიდან არ გამოჩენილან, ამ ადამიანებს ყოველთვის ჰქონდათ ამის ამბიცია.

***– იმის თქმა გინდათ, რომ გახარიას პრემიერობის დროსაც იყვნენ?***

– რა თქმა უნდა, ამ ადამიანებს გამდიდრების და კორუფციული გზით ფულის შოვნის სურვილი მაშინაც გააჩნდათ, მაგრამ გახარია, ისევე, როგორც მისი ადმინისტრაცია, მაქსიმალურად კეტავდა ამ ადამიანებს. ამით კი სახელმწიფოსთვის სიკეთე კეთდებოდა. როგორც კი გახარია სისტემიდან გამოვიდა, მომენტალურად ამუშავდა ფულის ჭრის ჩარხი.

***– კონკრეტულად რომელ ბიზნესებზეა საუბარი?***

– აქ საუბარია ყველაფერზე, ბიზნესებზე, უძრავ-მოძრავ ქონებაზე. ადამიანები მომენტალურად როგორ უნდა ახერხებდნენ გამდიდრებას, მაშინ როდესაც, შენ წლები გჭირდება ქონების დასაგროვებლად?! როგორ ახერხებენ ეს ადამიანები ასე სწრაფად გამდიდრებას?! თანაც ის ადამიანები, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად, დაკავშირებულები არიან ხელისუფლებასთან. მარტივად! ამ ადამიანებს უფორმებენ ქონებებს, ამ ადამიანებს აძლევენ ტენდერებს. ტენდერები მერე ხელი ხელს ბანს პრინციპით მუშაობს. ამ ტენდერებიდან ფული მიდის ე.წ. შავ ყულაბაში. ის შავი ყულაბა, საბოლოო ჯამში, ამ ყველაფერს პოლიტიკური კორუფციისთვის იყენებს. სისტემა ასე მუშაობს. ეს არის სწორედაც სისტემური კორუფცია. ჩვენ დროს კი სისტემური კორუფცია არ არსებობდა!

***– ხელისუფლება მარტივად დათმობს ძალაუფლებას?***

– რა თქმა უნდა, ისინი ყველაფერს გააკეთებენ, რომ ხელისუფლებაში დარჩნენ! აბსოლუტურად ყველაფერს. მათ ეშინიათ, სისტემის გაჯანმრთელების შემთხვევაში, პასუხი აუცილებლად მოეთხოვებათ. აქ გახარიას გემოვნებასა და ქემოკლიძის გემოვნებაზე კი არა არის საუბარი, თუ შენ რაღაც გაქვს დაშავებული და ამის მტკიცებულებები არსებობს, ვინც არ უნდა იყოს, ნებისმიერი ადამიანი დაისჯება. კორუფციასთან კომპრომისი არ არსებობს. ყოველდღიურად უნდა ვებრძოლოთ კორუფციას.

***– გიორგი გახარია უფრო მეტს იტყვის?***

– გიორგი გახარია იტყვის, როდესაც გააქტიურდება და ჩემი აზრით, ეს აუცილებლად მოხდება. გახარია არის საქმის ადამიანი. შესაბამისად, ის გააკეთებს ყველაფერს, რომ სისტემური კორუფცია ერთხელ და სამუდამოდ აღმოიფხვრას. ჩვენ დეენემის დონეზე გვძულდა კორუფცია! გახარია ამას ხშირად ამბობდა და ამიტომაც ვიყავით ერთი გუნდის წევრები.

***– ბატონო კახა, კორუფციასა და დანაშაულზე ვსაუბრობთ და თქვენთვისაც ცნობილია, რომ ფარცხალაძე შემოუშვეს ქვეყანაში.***

– ფაქტიურად, გასაკვირი არ არის, „ქართული ოცნება“ როგორც იქცევა. ხომ ვნახეთ, როგორ გადაეფარნენ და დაიცვეს ფარცხალაძე? როგორი კომიკური იყო ეს ყველაფერი, თითქოსდა მტკიცებულებებს ელოდნენ. წარმოიდგინეთ, ასეთი მაღალი დონის ჯაშუშზეა საუბარი და სადაზვერვო სამსახურიდან ელოდებოდნენ მტკიცებულებების იმ ერთობლიობას, რომელმაც შესაძლოა, ინფორმაციის მოპოვების წყაროები და მეთოდოლოგია გამოაშკარაოს. ეს არის ანბანი დაზვერვის და უსაფრთხოების სფეროში. ამერიკელმა სპეცსამსახურებმა მისცეს ის ინფორმაცია, რა ინფორმაციის ბაზაზეც საქართველოს ხელისუფლებას მაქსიმალურად იზოლირება უნდა მოეხდინა ბატონი ფარცხალაძის, ისევე, როგორც მთლიანად მისი ანტურაჟის. ამისთვის სპეციალური საგამოძიებო ჯგუფი უნდა შექმნილიყო. ამათმა კი რა გააკეთეს? მთელმა პოლიტიკურმა კლასმა დაიწყო რუსეთთან პირდაპირ მოთანამშრომლე, რუსული პასპორტის მქონე ადამიანის დაცვა. ამაზე მეტი ლუსტრირება და ამაზე მეტი მკაფიოობა, უბრალოდ, აღარ არსებობს.

***– რა მიზანს უნდა ემსახურებოდეს მისი საქართველოში შემოსვლა? უღირდათ ამხელა სკანდალად?***

– მათ ბატონ ფარცხალაძესთან კავშირი არც გაუწყვეტიათ. ის „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია და როგორ დავიჯერო, რომ ახლა ამოიკვეთდა ფეხს საქართველოდან, როცა ქონების გადაფორმების უფლება მისცეს და მწვანე დერეფნით გაატარეს ეს ადამიანი. ჯერ არ ვიცით, რა ხარისხის დაზიანება მიადგა სახელმწიფო უსაფრთხოებას, ჯერ აისბერგის წვერი ჩანს და არ ვიცით რა მოცულობისაა ეს აისბერგი. წარმოდგენა არავის აქვს, ეს აგენტურული მეტასტაზები რა დონეზეა გაშლილი ქვეყნის შიგნით.

***– კანდიდატის სტატუსის მოლოდინში ვართ და ალბათ ძალიან ცუდი სანახავია გარედან ეს ყველაფერი. რა რეაქციები ექნება დასავლეთს?***

– ეს ყველაფერი ძალიან ცუდად ჩანს გარედან, მაგრამ მაგაზე უფრო კომიკურად ჩანს ის ფაქტი, რომ ადამიანი, რომელსაც ეთაყვანებოდნენ, ეს არის უნგრეთის პრემიერ-მინისტრი, ძალიან მკაფიოდ გამოიკვეთა, რომ ის არის პირველი მტერი ევროკავშირის გაფართოების.

***– ირაკლი კობახიძე მართავს მასთან შეხვედრებს.***

– დიახ, მართავს, მაგრამ კობახიძე კი არა, მამა ღმერთი რომ ჩამოვიდეს, ორბანი მაინც ძალიან მკაფიოდ წარმოაჩენს საკუთარ ზრახვებს ევროკავშირის გაფართოებასთან დაკავშირებით. ესენი გვარწმუნებდნენ, რომ ბატონი ორბანი ჩვენი მოკავშირე იყო, მაგრამ ბატონი ორბანი, რეალურად რუსეთის მოკავშირეა, ის არის ევროკავშირის შიგნით, როგორც ტროას ცხენი! საბოლოო ჯამში, უნგრეთი მაინც იძულებული გახდება, რომ მხარი დაუჭიროს ევროკავშირის გაფართოებას. „ქართული ოცნების“ ტრაგიკომედია კი იმაში მდგომარეობს, იმას, ვისაც მეგობრად და მხარდამჭერად ასაღებდნენ, დღეს მკაფიოდ გამოჩნდა, ვინ ვინ არის. ის არის სწორედაც რუსეთის ფედერაციის მოკავშირე, ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შიგნით. ამიტომაც არის „ოცნების“ გეოპოლიტიკური ხედვები ძალიან საშიში და ძალიან სარისკო. ჩვენი მოსახლეობა უნდა დარწმუნდეს, რომ დღეს საფრთხე ნაცმოძრაობის უკან დაბრუნების არ არსებობს, იმიტომ, რომ შუა არის გამოკვეთილი და ეს შუა, საკუთარ სათქმელს აუცილებლად იტყვის!

***– გამოკვეთილია შუაო ბრძანებთ და მამუკა ხაზარაძისგან მოვისმინეთ ლოზუნგი, შუა უნდა შეიკრიბოსო. რა გამოვა აქედან? რა მოლოდინები გაქვთ? არის ოპოზიცია იმ ფორმაში, რომ „ოცნება“ დაამარცხოს?***

– ჩვენ ბატონ ხაზარაძეს და ბატონ ჯაფარიძეს პატივს ვცემთ, ისევე, როგორც მათ გუნდის წევრებს. მეტსაც გეტყვით, პიროვნულ დონეზე ძალიან კარგი ურთიერთობაც გვაქვს „ლელოსთან“. ჩვენ გვინდა, რომ „ლელო“ გაძლიერდეს და მათ მაქსიმალურად კარგი შედეგი დააფიქსირონ არჩევნებზე. „ლელო“ ჩვენ პარტიას სჭირდება პარლამენტს შიგნით, როგორც სამომავლო მოკავშირე. ხოლო პარლამენტს გარეთ ჩვენ გვაქვს ჩვენი გზა, ეს გზა არის ძალიან მკაფიო, თანმიმდევრული და სწორ სტრატეგიულ ხაზზე დაფუძნებული.

***– იმის თქმა გინდათ, რომ არჩევნებამდე გაერთიანება არ გამოვა?***

– არა. არავისთან გაერთიანების ინტერესი ჩვენ არ გვაქვს. ჩვენ გვაქვს ძალიან კონკრეტული გეგმა, რომ ნომერი 25 უნდა გაძლიერდეს. გაძლიერდეს ისე, როგორც არასდროს და მან დაამარცხოს ნაცმოძრაობა და „ქართული ოცნება“. არც ერთმა და არც მეორემ 51% არ უნდა აიღოს! ნაცმოძრაობისგან „ქართული ოცნება“ ისეთ იდეალურ მოკავშირეს შეიქმნის, რომ აგერ მე და აგერ თქვენ, ამიტომ მათი ნდობა არ შეიძლება. ერთიც უნდა დასრულდეს და მეორეც.

***– ბატონო კახა, ასევე ძალიან ბევრს საუბრობენ ქალბატონი პრეზიდენტის და გიორგი გახარიას სამომავლო ალიანსზე. ამაზე რას იტყვით? ან რატომ გაჩნდა ეს მოარული ხმები?***

– ჩვენ ქალბატონ სალომეს ყოველთვის მხარს ვუჭერთ, როდესაც ის ძალიან მკაფიოდ პოზიციონირებს საერთაშორისო სტრუქტურებში, საქართველოს ევროინტეგრაციის კუთხით. ჩვენ მას მხარს ვუჭერთ და ამას არც ვმალავთ. ეს არის ძალიან სწორი სტრატეგია. ის ერთადერთი ინსტიტუციის ხელმძღვანელია, რომელიც დღეს დამოუკიდებლად ოპერირებს და ამავდროულად სწორ ფლანგზე ოპერირებს.

***– კობახიძემ განაცხადა, რომ პრეზიდენტი არჩევნებამდე ორი თვით ადრე გადადგება და ოპოზიციას შეუერთდებაო. ამაზე რას იტყვით?***

– კობახიძე თუთიყუშივით ხან ერთს ამბობს, ხან მეორეს. ის ცდილობს, ახლა პრეზიდენტიც და მთლიანად ოპოზიცია, ნაციონალებთან ერთად ერთ ქვაბში მოხარშოს. ჩვენმა საზოგადოებამ უნდა დაიჯეროს ერთი მარტივი რამ, რომ ნაცმოძრაობა უნდა დასრულდეს. ნაცმოძრაობა როგორც კი დასრულდება, მაშინვე დამარცხდება „ქართული ოცნებაც“!

***– მგონი სრულდება ნაცმოძრაობა, ისეთი პროცესები მიმდინარეობს ახლა ამ პარტიაში.***

– შესაძლებელია. ისინი როგორც კი დასრულდებიან, მომენტალურად დასრულდება „ქართული ოცნება“! ამიტომაც არის ოქროს ფორმულა, რომ მათ ჯამში 51% არ უნდა აიღონ. თუ დასჭირდათ, ერთმანეთს ისე შეავსებენ, თვალს არ დაახამხამებენ. თუ ვერ აიღებენ, მაშინ ეს ხელისუფლება შეიცვლება.

***– გახარიას გუნდი არჩევნებზე მარტო გადის და ამ კუთხით არანაირი სიურპრიზი არ იქნება?***

– დიახ, მარტო გადის, ეს მკაფიო სტრატეგიაა და არანაირი სიურპრიზი არ იქნება. „ქართულ ოცნებას“ კი ვპირდებით, წინ ბევრი სიურპრიზი ელოდება!

## გურჯაანში, არასრულწლოვანი შვილის მიმართ გარყვნილი ქმედებების ფაქტებზე, ბრალდებულს უვადო პატიმრობა მიუსაჯეს

არასრულწლოვანი ოჯახის წევრის მიმართ განხორციელებული გარყვნილი ქმედების, გაუპატიურების, არასრულწლოვანის თანდასწრებით ოჯახის წევრის მიმართ ძალადობის და მოწმეზე ზემოქმედების ფაქტებზე, ბრალდებული პირი გურჯაანის რაიონულმა სასამართლომ დამნაშავედ ცნო და უვადო პატიმრობა მიუსაჯა – ინფორმაციას საქართველოს პროკურატურა ავრცელებს:



გურჯაანის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და არასრულწლოვანი ოჯახის წევრის მიმართ განხორციელებული გარყვნილი ქმედებების, გაუპატიურების, არასრულწლოვანის თანდასწრებით ოჯახის წევრის მიმართ ძალადობის და მოწმეზე ზემოქმედების ფაქტებზე, ბრალდებული დამნაშავედ ცნო.

სასამართლო პროცესზე წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ ბრალდებული სხვადასხვა დროს, არასრულწლოვანი შვილის მიმართ გარყვნილ ქმედებებს ახორციელებდა და სისტემატიურად აუპატიურებდა მას. ასევე, ბრალდებული არასრულწლოვანი შვილის თანდასწრებით ფიზიკურად ძალადობდა მეუღლეზე და დაზარალებულს მის წინააღმდეგ გამოძიებისთვის მიცემული ჩვენების შეცვლას აიძულებდა. დანაშაულის ჩამდენ პირს ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 137– ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ და მე– 4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (გაუპატიურება, ჩადენილი არასრულწლოვანი ოჯახის წევრის მიმართ), 11 პრიმა 141-ე მუხლი (გარყვნილი ქმედება თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველ ოჯახის წევრის მიმართ), 126 პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ოჯახის წევრის მიმართ ძალადობა, არასრულწლოვანის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ) და 372-ე მუხლის მე-2 ნაწილით (დაზარალებულის იძულება ცრუ ჩვენების მიცემისთვის და ჩვენების შეცვლისათვის) წარედგინა.

სასამართლომ ბრალდებული სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებებში და სასჯელის სახედ და ზომად უვადო თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა,

ცნობილია, რომ ბრალდებული დანაშაულს არ აღიარებს და სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებს.

## ბათუმში მანქანა ავტობუსს დაეჯახა – დაშავდა 3 ადამიანი




ბათუმში, თამარ მეფის გზატკეცილზე, მსუბუქი ავტომობილი მუნიციპალურ ავტობუსს დაეჯახა. ინფორმაციას გამოცემა „ბათუმელები“ „ბათუმის ავტოტრანსპორტზე“ დაყრდნობით ავრცელებს და წერს, რომ ავტობუსი გაჩერებული იყო, როცა მას მსუბუქი ავტომანქანა დაეჯახა.

შემთხვევის შედეგად სამი ადამიანი დაშავდა. სასწრაფო-სამედიცინო სამსახურში გამოცემას უთხრეს, რომ ისინი სხვადასხვა ტრავმით გადანაწილებული არიან რესპუბლიკურსა და რეფერალურ საავადმყოფოებში.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ-ფოსტა: axtaoba@gmail.com
ხაზინადარი სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
ტელეფონი: 599-532-690
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
გავრცელების სამსახური – მურაზ ლეკვეიშვილი
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამართალი

## მოასწრო თუ არა ფარცხალაძემ საქართველოდან ფულის გატანა?




ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელ ნათია თურნავას დღეს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე უსმენენ. კომიტეტზე ფრაქცია „ევროოპტიმისტების" დეპუტატმა რომან გოცირიძემ მას ჰკითხა, მოახერხა თუ არა აშშ-ის მიერ სანქცირებულმა ოთარ ფარცხალაძემ საქართველოდან ფულის გატანა და იქონია თუ არა თურნავას გადაწყვეტილებამ უარყოფითი გავლენა ქართულ საბანკო სისტემაზე.

– მოასწრო თუ არა ფარცხალაძემ საქართველოდან ფულის გატანა? ახლა არ აქვათ, რომ ფარცხალაძეს, რომელმაც 13 უძრავი ქონება გადაუფორმა თავის ოჯახის წევრებს და ერთ დღეში ყველაფერი მოასწრო საჯარო რეესტრში და ამდენი ბიზნესები ჰქონდა, მას საქართველოში ფული არ ჰქონდა, – იკითხა გოცირიძემ.

თურნავამ შეკითხვაზე პასუხის გაცემას თავი აარიდა და საკითხი „საბანკო კონფიდენციალობით" ახსნა. ის მხოლოდ იმას ამტკიცებდა, რომ სანქციების გვერდის არიდება და დარღვევის ფაქტი არ მომხდარა.

ნებისმიერ არარეზიდენტთან დაკავშირებით სანქციების აღსრულების წესი ცნობილია, მათთან დაკავშირებით. ასევე, ახლა რაც შეეხება კონკრეტულ საკითხებს, მე ვერ გავაკეთებ აქ განცხადებას. არსებობს, ასე ვთქვათ, საბანკო კონფიდენციალობა, მაგრამ მინდა დაგარწმუნოთ, რომ არანაირი სანქციების გვერდის არიდება და დარღვევის ფაქტი არ მომხდარა, – ამბობს თურნავა.

## პოლონეთში საქართველოს 3 მოქალაქე 19 წლის გოგონას გატაცების ბრალდებით დააკავეს



პოლონეთის პოლიციამ საქართველოს სამი მოქალაქე დააკავა, რომლებიც ეჭვმიტანილი არიან 19 წლის გოგონას გატაცებასა და თავისუფლების უკანონო აღკვეთაში. გატაცებულიც, სავარაუდოდ, ქართველია, რადგან პოლიციას მომხდარის შესახებ მისმა დედამ შეატყობინა, რომელიც სამართალდამცავი უწყების ინფორმაციით, ასევე საქართველოს მოქალაქეა:

– ახალგაზრდა ქალი კაცებმა ძალით წაიყვანეს მისი საცხოვრებელი ადგილიდან სკიერნიევიცეში. პოლიციამ გოგონა სკიერნიევიციდან 180 კილომეტრში, ვირუსოვის რაიონში იპოვა. მამაკაცებს ქალისთვის თავისუფლების აღკვეთა ედებათ ბრალად და მათ 5 წლამდე პატიმრობა ემუქრებათ. ისინი უახლოეს სამ თვეს პატიმრობაში გაატარებენ, – ნათქვამია პოლიციის განცხადებაში.

უწყების ცნობით, 1-ელ დეკემბერს, საქართველოს 43 წლის მოქალაქე სკიერნიევიცის პოლიციის განყოფილებაში მივიდა და აცნობა, რომ მისი 19 წლის ქალიშვილი სამმა ქართველმა გაიტაცა. კრიმინალურმა დეპარტამენტმა მალევე შეძლო გამტაცებლების იდენტიფიცირება და 5 საათში მათი დაკავება.

დაკავებულები არიან 38, 37 და 33 წლის პირები. 19 წლის გოგონას ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

სავარაუდო დამნაშავეებს სასამართლომ მათ სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

## გორის ერთ-ერთ სოფელში მაღაზიიდან 100 ლარის ღირებულების ყველის ნაწარმი მოიპარეს

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდისთავში მაღაზიიდან 100 ლარის ღირებულების ყველის ნაწარმი მოიპარეს. როგორც რეგიონული გამოცემა „ქართლი" წერს, შემთხვევა იმ დროს მოხდა, როდესაც გარკვეული ჯგუფის წევრები ქსელურ მარკეტში საყიდლად შედიოდნენ.

წინასწარი ინფორმაციით, ყველის ნაწარმზე დანაკლისი პროდუქტის აღრიცხვისა და გადაბარების დროს აღმოაჩინეს. შემდეგ ჩანაწერები ნახეს, სადაც ეწერა, რომ ახალგაზრდები ყველის ნაწარმს იღებდნენ და შემდეგ მარკეტიდან გადიოდნენ.

გამოძიების დეტალები მაღაზიის წარმომადგენლებისთვის უცნობია. მათი ინფორმაციით, მხილებული პირები ადგილობრივი მცხოვრებლები არ არიან.

# „ოპოზიციის დღევანდელი მდგომარეობა „ქართულ ოცნებას" საქმეს ძალიან უადვილებს"

### დავით დარჩიაშვილი: „სავსებით შესაძლებელია, ორბანი პუტინის დავალებას ასრულებდეს და მოსკოვთან შეთანხმებით მოქმედებდეს"

ნათია ხურცილავა

პარლამენტის ყოფილი დეპუტატი, ილიას უნივერსიტეტის პროფესორი დავით დარჩიაშვილი „ახალ თაობასთან" ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.



*– ბატონო დავით, თუ უნგრეთი ევროკავშირის გაფართოებას დაბლოკავს, ორბანმა უკვე გაუგზავნა შარლ მიშელს წერილი, სადაც უკრაინასთან მოლაპარაკების დაწყების პროცესის შეჩერებაზე საუბრობს, შეიძლება ჩვენი საკითხიც დაიბლოკოს?*

– ყველაფერი შესაძლებელია, არაფერია გამორიცხული.

*– თუმცა, „ქართული ოცნება" ამბობს, რომ ორბანს საქართველოსთან დაკავშირებით იგივე დამოკიდებულება არა აქვს.*

– არც ორბანი და არც „ქართული ოცნება" სანდო არ არიან. რეალურად რა ხდება და ვინ რას ამბობს, ვერ გავიგებთ. ეს პოლიტიკური მოთამაშეები არც თავიანთი პრინციპებითა და არც ქვეყნის ინტერესების დაცვით არ გამოირჩევიან. მათი ერთადერთი მიზანი ძალაუფლების შენარჩუნებაა. ამიტომ, ძალიან მიჭირს იმაზე საუბარი, რამდენად სანდოა მათი ნათქვამი. ერთადერთი გამოსავალი არის, ბრიუსელმა და დანარჩენმა წევრმა სახელმწიფოებმა უნგრეთი თავის ადგილზე მოსვას.

რაც შეეხება საქართველოს, ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ამ გზიდან არ გადავუხვიოთ და არც არავის არ უნდა გადავახვევინოთ. ხელისუფლებას უნდა მოვთხოვოთ იმ 9 პუნქტის შესრულება, რომელიც მოგვეცა.

*– ექსპერტები ამბობენ, რომ თუ ორბანმა უკრაინის საკითხის დაბლოკვა შეძლო, ეს საახალწლო საჩუქარი იქნება პუტინისთვის.*

– ნამდვილად ასეა. ევროკავშირმა უნდა აჩვენოს თავისი ძალა, თუ უნდა ეს რეალობა შეცვალოს და ორბანი არ იყოს დღის წესრიგის განმსაზღვრელი.

*– ეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ ორბანი დამოუკიდებლად არ მოქმედებს?*

– დიახ, რა თქმა უნდა! როგორც ჩანს, ის პუტინის თამაშს თამაშობს. სავსებით შესაძლებელია პუტინის დავალებას ასრულებდეს და მოსკოვთან შეთანხმებით მოქმედებდეს.

*– 2024 წლის არჩევნები რამდენად შეიძლება ერთგვარი ქვაკუთხედი გახდეს ევროკავშირისკენ მიმავალ გზაზე? ოპოზიცია ამბობს, რომ ამ არჩევნებს დასავლეთი გამადიდებელი შუშით დააკვირდება.*

– ოპოზიცია რომ უკეთეს ფორმაში იყოს და ასე სუსტად არ გამოიყურებოდეს, ნამდვილად უკეთესი იქნებოდა. ოპოზიციის დღევანდელი ეს მდგომარეობა „ქართულ ოცნებას" საქმეს ძალიან უადვილებს. თუ ოპოზიცია არ გამოფხიზლდება, მმართველ პარტიას დიდი შრომა არ დასჭირდება, რომ არჩევნებში მორიგ ჯერზე გაიფორმოს გამარჯვება, ყოველგვარი თვალსაჩინო და დიდი დარღვევების გარეშე. თუ ეს ასე მოხდება, მაშინ მართლაც გახდება ეს არჩევნები ძალიან ბევრი პროცესის ქვაკუთხედი ამ ქვეყანაში.

ოპოზიციას მობილიზება და გამოფხიზლება სჭირდება. დღეს ოპოზიციას არ აქვს ის რეიტინგი, რომელიც მისცემს მოსვენებისა და მოშვებულად ყოფნის შესაძლებლობას. ეს უნდა გააცნობიერონ. შეიძლება „ოცნებას" არჩევნების გაყალბება არც კი დასჭირდეს. დიდძალი ფულადი რესურსითა და დაშინებით გადაჭრის არჩევნების ბედს და მერე ამის დასავლეთამდე მიტანა, ძალიან გაუჭირდება ოპოზიციას.

*– თქვენ რეიტინგი ახსენეთ. ყველა სოციოლოგიური კვლევა ამბობს, რომ ოპოზიციას ამომრჩევლის ნდობა არა აქვს. რა უნდა ქნან, რომ ნდობა მოიპოვონ?*

– ამომრჩეველი ამ ოპოზიციის მიმართ სკეპტიკურად არის განწყობილი. მხოლოდ იმის ძახილი, რომ ესენი რუსები არიან და ჩვენ ქართველები, არ არის საკმარისი. უამრავი პრობლემაა, რომლებიც ადამიანებს აწუხებთ. ოპოზიციაში მის გადამჭრელს უნდა ხედავდნენ. არ უნდა გააჩინონ განცდა, რომ თუ ესენი მოვლენ ხელისუფლებაში, მერე დესტაბილიზაცია იქნება. სახელმწიფო სამსახურში დასაქმებულ ადამიანებს ან მათი ოჯახის წევრებს პრობლემები შეექმნებათ. ამ საკითხებზე ღიად უნდა საუბრობდნენ. ყველაზე მნიშვნელოვანი – ოპოზიციამ რეალური ალტერნატივის განცდა უნდა გააჩინოს. ჩრდილოვანი კაბინეტის მონახაზი უნდა ჰქონდეთ.

*– ჩრდილოვანი კაბინეტი უნდა წარმოადგინონ?*

– რატომაც არა! კარგი იქნებოდა ამ პრეცედენტის შექმნა. შეხვედრები უნდა ჰქონდეთ ამომრჩევლებთან. საუბრები უნდა იყოს მნიშვნელოვან საკითხებზე, იმ საკითხებზე, რომლებიც ადამიანებს აწუხებთ. პარტიების პრობლემები კი არ უნდა იყოს მთავარი, ნაციონალური მოძრაობა გახლეჩილია, „ლელო" იძახის, ჩემთან მოდითო, „გირჩი" კიდევ ამბობს, მე სულ სხვა ვარო. ასეთი მესიჯები ამომრჩეველს არაფერში არწმუნებს, გარდა იმისა, რომ მათ თავიანთი პრობლემები ვერ მოუგვარებიათ. ამომრჩეველში ეს ვერ გააჩენს რეალური ალტერნატივის განცდას.

# „ყოლბაიამ შამბას ძმის გარდაცვალება მიუსამძიმრა, დე ფაქტო ხელისუფლებასთან სხვა კონტაქტი არ გვაქვს"

### ჯემალ გამახარია: „აფხაზურმა მხარემ მოითხოვა, ჩვენებს ე.წ. ხელოვნური საზღვარი საზღვარგარეთის პასპორტებით უნდა გადაელახათ"

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის" კითხვებს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ჯემალ გამახარია პასუხობს.

*– ბატონო ჯემალ, თქვენ განაცხადეთ, რომ ჟენევაში შეთანხმდნენ, აფხაზეთის მიმართულებისთვის აღდგეს ინციდენტების პრევენციისა და მასზე რეაგირების მექანიზმი, რომელიც გალში იმოქმედებს, მაგრამ ქართული მხარე არ აპირებს გალში საზღვარგარეთის პასპორტით გადასვლას. ჟენევის ფორმატში აღნიშნული საკითხი ვინ დასვა?*

– ინციდენტების პრევენციისა და მასზე რეაგირების მექანიზმი ცხინვალის მიმართულებით ფუნქციონირებს. გალის რაიონში 2018 წლიდან, სხვადასხვა მიზეზების გამო, ამ მექანიზმის ფუნქციონირება შეჩერებულია.

ოთხოზორიას მკვლელობის შემდეგ, გალის ინციდენტებისა და მასზე რეაგირების მექანიზმი აღარ მუშაობს.

საერთაშორისო ორგანიზაციები აფხაზურ მხარეს ამ ფორმატის აღდგენის საჭიროებას მუდმივად შეახსენებდნენ. ჩვენ ამ ფორმატის აღდგენისთვის მუდამ მზად ვიყავით, მაგრამ გაჭიანურდა.

ბოლოს და ბოლოს, შეთანხმება მიღწეულია, მაგრამ იქ პასპორტის საკითხი დადგა, რადგან ქართულ მხარეს ჩვენი შიდა პასპორტებით გადასვლა არ შეუძლია, აუცილებლად საზღვარგარეთის პასპორტი უნდა იყოს, შტამპები უნდა ჩაირტყას და ა.შ. რა თქმა უნდა, ამაზე არავინ წავიდოდა და ამიტომ მისი გახსნა გაჭიანურდა.

*– თუ ჟენევის ფორმატში შეთანხმდნენ, მაშინ ამაზე არ უსაუბრიათ?*

– არა. იქ პრინციპული საუბარი იყო, რომ აღნიშნული მექანიზმი აღდგენილიყო. ასეთ შეთანხმებას მივაღწიეთ, მაგრამ რეალურად, ამ ფორმატის აღდგენას დაბრკოლებები შეექმნა, რომელიც, შეიძლება ითქვას, გადალახულია და ამ ფორმატის განახლებას მალე ვიხილავთ.

*– ვინ დააყენა საკითხი, რომ ქართველები გალში საზღვარგარეთის პასპორტით უნდა ჩასულიყვნენ და პასპორტებში შტამპი უნდა ჩარტყმულიყო?*

– აფხაზურმა მხარემ მოითხოვა, ჩვენებს ე.წ. ხელოვნური საზღვარი საზღვარგარეთის პასპორტებით უნდა გადაელახათ.

*– ამბობთ, ეს პრობლემა გადალახულიაო. ანუ აფხაზები დათანხმდნენ, ქართული პასპორტებით გადახვიდეთ?*

– შეთანხმება ასეთია: აფხაზური მხარე, ენგურის ხიდზე რომ გადახვალ, საგუშაგოსთან მისვლამდე, რაღაც სივრცეს აწყობს, სადაც სხდომების ჩატარება შეიძლება. პასპორტები საჭირო არ არის.

*– ე.ი. გალში კონფლიქტების პრევენციისა და მასზე რეაგირების მექანიზმის აღდგენაზე რუსეთის თანხმობა იყო? წინააღმდეგობა არ გაუწევიათ?*

– დიახ, ჟენევის ფორმატში რუსეთიც ხომ მონაწილეობს,

*– ადრე ყველაფერზე უარს ამბობდნენ. რა საკითხსაც ქართველები დააყენებდნენ, არ ეთანხმებოდნენ, აფხაზები და რუსები დგებოდნენ და მიდიოდნენ.*

– აფხაზები მაშინვე დგებოდნენ და მიდიოდნენ, როდესაც ჰუმანიტარული საკითხების, მათ შორის, დევნილების დაბრუნების საკითხის განხილვა იწყებოდა. ჟენევის ფორმატში ორი განყოფილებაა, ერთი – პოლიტიკური, მეორე – ჰუმანიტარული.

პოლიტიკურზე მიდის საკითხის განხილვა, მსჯელობები, დისკუსიები, სწორედ იქ გადაწყდა გალის ინციდენტების პრევენციისა და მასზე რეაგირების ფორმატის აღდგენა.



დევნილების დაბრუნების საკითხის განხილვაში ისინი არ მონაწილეობენ, უბრალოდ, დგებიან და მიდიან.

*– გალის ფორმატში აფხაზეთის უმაღლესი საბჭოდან ვინ მიიღებს მონაწილეობას?*

– არ ვიცი, ვნახოთ. იმედი მაქვს, ჩვენი სტრუქტურიდან და მთავრობიდან ვინმე იქნება ჩართული.

*– თქვენ განაცხადეთ, აფხაზები ტერმინალს აკეთებენო. მაშინ როდესაც, საოკუპაციო ზოლს რუსები აკონტროლებენ, ტერმინალს აფხაზები აკეთებენ?*

– კი, აფხაზები აშენებენ. რამდენადაც ვიცი, აფხაზები აშენებენ.

*– ანუ რუსების გარეშე აფხაზეთში რამე კეთდება?*

– არა, რუსებიც იქვე არიან. ერთმანეთთან შეთანხმება აქვთ. დეტალები არ ვიცით, მაგრამ შეთანხმების გარეშე არ გააკეთებდნენ. თუმცა, ვიცით, რომ ამაზე აფხაზები მუშაობენ.

*– ამ საკითხებს ხომ არ უკავშირდებოდა ყოლბაიასა და შამბას კონტაქტი?*

გაგრძელება მე-4 გვერდზე

2023, 7 დეკემბერი, №241

# „თეზისები კონტრშეტევის ჩაშლის შესახებ გაზვიადებულია“

## „ევროპულ ელიტებს ესმით, რომ მათთვის უკრაინის პრობლემა გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე ისრაელში მიმდინარე მოვლენები“

მარიამ მჭედლიშვილი



**რა მდგომარეობაა უკრაინის ფრონტზე ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე ომის ფონზე? რას უფრთხიან ევროპაში? არის თუ არა მდგომარეობა უიმედო? — ამ და სხვა საკითხებზე სხვადასხვა მედიასთან საუბრობენ კრემლის ოპონენტი რუსი სამხედრო ექსპერტი იური ფიოდოროვი, უკრაინელი პოლიტოლოგი ოლეგ სააკიანი და უკრაინელი სამხედრო ექსპერტი დიმიტრი სნეგირიოვი.**

ფიოდოროვი:

***– „ეკონომისტი“ წერს, რომ პუტინს უკრაინაზე მეტი ადამიანური რესურსი აქვს. ეს, მართლაც, ასეა. ამავე სტატიაში ნათქვამია, რომ დასავლეთის კოალიცია არ ამართლებს იმედებს. ასევე საუბარია იმაზე, რომ პუტინმა მოახერხა გლობალური სამხრეთის მიმხრობა და საკუთარი პოზიციების გამყარება ქვეყნის შიგნით.***

– სინამდვილეში, გლობალური სამხრეთი რუსეთის მხარეს არ გადახრილა. გლობალური სამხრეთი მოლოდინის მდგომარეობაშია. მან, როგორც ყოველთვის, დაიკავა მიუმხრობელი მოძრაობის პოზიცია. გლობალური სამხრეთი ცდილობს, მოახდინოს მანევრირება ორ ბანაკს – რუსეთსა და დასავლეთის კოალიციას შორის.

გაიმყარა თუ არა პუტინმა პოზიციები რუსეთის შიგნით? ძალიან მეეჭვება, ასე იყოს. მოხდა ამბოხი პრიგოჟინის მეთაურობით. ამას არმიის მხრიდან შესაბამისი წინააღმდეგობა არ მოჰყოლია. ეს მოწმობს, რომ არმიაში რუსეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას ყველა მხარს არ უჭერს. პრიგოჟინის მკვლელობით არმიაში განწყობები ვერ შეიცვლება. პუტინი რომ მომავალ არჩევნებში გაიმარჯვებს, ეს უდავოა, ვინაიდან ხმების დამთვლელებს პუტინი აკონტროლებს. „ეკონომისტი“ მიმართავს მმართველ წრეებს. პირველ რიგში, ევროპელებს.

ისეთი სიტუაციაა, რომ ბოლომდე გარკვეული არაა, როგორ მოიქცევა აშშ. კონგრესში არის გაურკვევლობა უკრაინისა და ისრაელის მიმართ დახმარების საკითხებში, რაც ართულებს თეთრ სახლში გადაწყვეტილების მიღებას. ეს ევროპაში ბადებს სერიოზულ კითხვებს. ევროპაში შიშობენ, რომ თუ აშშ შეუმცირებს დახმარებას უკრაინას, ევროპას მოუწევს კონფლიქტში შესვლა რუსეთთან.

***– ნატოს გენმდივანი სტოლტენბერგი არ გამორიცხავს საგანგაშო სიახლეებს უკრაინიდან.***

– დიახ. ეს საგანგაშო სიახლეები (შესაძლო სიახლეები) ევროპისთვისაც საგანგაშოა. ევროპაში შესანიშნავად ესმით, რომ თუ უკრაინა ვერ გაიმარჯვებს, თუ ის დამარცხდება, რუსეთის ექსპანსიის შემდგომი სამიზნე იქნებიან ევროპული ქვეყნები.

საზოგადოებრივი აზრი ევროპაში უფრო მეტად აკვირდება ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენებს. საზოგადოებრივი აზრი და ელიტები – ეს ერთი და იგივე არ არის. ევროპული სახელმწიფოების მმართველ წრეებსა და ელიტებს შესანიშნავად ესმით, რომ მათთვის უკრაინის პრობლემა გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე ისრაელში მიმდინარე მოვლენები.

***– ხსენებული სტატია იმაზეა, რომ ევროპელებს ეშინიათ პუტინის გამარჯვების?***

– ასეა. პუტინი ნამდვილად არ იმარჯვებს. პატური (ფრეს მდგომარეობა) სიტუაცია იმას ნიშნავს, რომ ვერც ერთი მხარე ვერ იგებს. პატური სიტუაციის არსი ეწინააღმდეგება განცხადებებს იმის შესახებ, რომ პუტინი იმარჯვებს.

დიახ, პუტინს აქვს მეტი ადამიანური რესურსი, მაგრამ თანამედროვე ომში „კალაშნიკოვებით“ შეიარაღებული ბრბო ნაკლებად წყვეტს რამეს. თანამედროვე ომში გადამწყვეტია ტექნოლოგიები, ტექნიკა, შეიარაღება.

სააკიანი:

***– კიევის მერი კლიჩკო ეთანხმება ზალუჟნის (მთავარსარდალს) და ამბობს, რომ მდგომარეობა ჩიხში შევიდა. ზელენსკი საუბრობს თავდაცვითი მოწყობილობების მშენებლობაზე. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ უკრაინაში აღარ სჯერათ, რომ საკუთარ ტერიტორიებს ომის გზით დაიბრუნებენ?***

– არა, ეს ასე არ არის. უკრაინაში ამის სჯერათ. ამაზე მეტყველებს სოციოლოგიაც და სამხედრო გეგმებიც. საზაფხულო-საშემოდგომო კამპანია დასრულდა წარმატებებით უფრო ზღვაზე, ვიდრე ხმელეთზე. მიმდინარეობს მზადება ზამთრისა და მომავალი გაზაფხულის კამპანიებისთვის. ამიტომაც, უკრაინის არმია, პირველ რიგში, თავდაცვის მდგომარეობაში დგება. ის პოზიციებს იმაგრებს და ემზადება რუსული კონტრშეტევის მოსაგერიებლად.

ბატონი კლიჩკო აკეთებს პოლიტიკურ განცხადებებს. მას დიდი ხნის დაპირისპირება აქვს პრეზიდენტის ოფისთან. კლიჩკო ცდილობს, შეიქმნას საკვანძო ოპოზიციონერის იმიჯი.

დასავლეთში სხვა მეინსტრიმული თემაა: საუბრობენ უთანხმოებაზე უკრაინის პოლიტიკურ და სამხედრო ხელმძღვანელობას შორის და ამას უწოდებენ კონფლიქტს.

***– ზალუჟნის განცხადებაც ხომ არსებობს?***

– ეს იყო ზალუჟნის სტატია და არა განცხადება. ზალუჟნის არ უთქვამს, რომ ომი ჩიხში შევიდა. ის საუბრობდა სწრაფი გამარჯვების ალტერნატიულ ვარიანტზე – გაჭიანურებულ ომზე.

სნეგირიოვი:

***– შესაძლებელია თუ არა, რომ რუსეთი ემზადებოდეს სერიოზული კონფლიქტისთვის უკრაინის ფარგლებს გარეთ?***

– არ არის გამორიცხული სცენარი, რომლითაც რუსეთი შეეცდება ბელარუსის შეერთებას კალინინგრადის ოლქთან ბელარუსის ტერიტორიიდან ბალტიის ქვეყნების მეშვეობით. ასევე, მოსალოდნელია რუსეთის მიერ სიტუაციის დესტაბილიზაცია ახლო აღმოსავლეთში, დაჯგუფებების გაძლიერება სირიასა და ლიბიაში, აფრიკის კონტინენტზე.

***– მომდევნო წელს თუ არის შესაძლებელი რუსეთის სამხედრო დამარცხება?***

– არ არის გამორიცხული. თეზისები იმის შესახებ, რომ კონტრშეტევა ჩაიშალა, გაზვიადებულია. შესაძლებლობები უკრაინის მიწების დეოკუპაციისთვის არსებობს. მომავალ წელს ძვრები მოსალოდნელია.

# „ყოლბაიამ შამბას ძმის გარდაცვალება მიუსამძიმრა, დე ფაქტო ხელისუფლებასთან სხვა კონტაქტი არ გვაქვს“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

– არანაირად არ უკავშირდებოდა. უბრალოდ, ჟურნალისტის ინიციატივით შედგა ერთობლივი ინტერვიუ ორივე მხარესთან. არავითარი კონტაქტი არ მომხდარა, არავითარი დიალოგი იქ არ ყოფილა და არანაირი სხვა საკითხი, გარდა იქ დასმული კითხვებისა, არ განხილულა.

***– ჟურნალისტი ორივეს ერთდროულად უკავშირდებოდა და ხაზზე იყვნენ?***

– დიახ, ასე იყო.

***– შამბა და ყოლბაია ერთმანეთს ხომ ესაუბრებოდნენ?***

– ერთმანეთს კი არ ესაუბრებოდნენ, ჟურნალისტის შეკითხვაზე პასუხს იძლეოდნენ.

***– ანუ შამბა და ყოლბაია ერთმანეთს არ გასაუბრებიან?***

– თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ბატონმა ვახტანგმა მას ძმის გარდაცვალება მიუსამძიმრა, მეტი იქ არავითარი საუბარი არ ყოფილა.

***– ტარას შამბასი.***

– დიახ.

***– მე სულ ვსვამდი კითხვას და ახლაც გკითხავთ, აფხაზებთან რაიმე ისეთი, არაოფიციალური კონტაქტები არ გაქვთ?***

– აფხაზური საზოგადოების წარმომადგენლებთან, რამდენიც გინდათ, კონტაქტები არსებობს, მაგრამ იქაურ დე ფაქტო ხელისუფლებასთან არავითარი კონტაქტი არ არსებობს.

***– აფხაზური ოპოზიციის წარმომადგენლები არიან თუ...***

– მნიშვნელობა არ აქვს, ჩვენ აფხაზებს ოპოზიცია-პოზიციად არ ვყოფთ, მე გეუბნებით საზოგადოების წარმომადგენლებზე ყოველგვარი პარტიულობისა და ყოველგვარი დე ფაქტო ხელისუფლების გარეშე.

***– მათი განწყობა როგორია?***

– იმ ადამიანების განწყობა, რომლებიც აქ ჩამოდიან, საკმაოდ კარგია. ძალიან თბილი შეხვედრები ტარდება ხოლმე.

***– ამ შეხვედრებზე, კონკრეტულად, რა საუბრებია, ამაზე, ალბათ, ფართო საზოგადოებისთვის არ საუბრობთ?***

– სხვადასხვა თემებზეა საუბარი. ფაქტობრივად, ყველაფერზე საუბრობენ. როცა ადამიანები გადმოდიან, როგორც წესი, აქ ხვდებიან. ნაცნობები არიან, ბევრი დამეგობრდა, ერთმანეთთან ურთიერთობენ და ყველა თემაზე შეუძლიათ საუბარი.

***– ერთიან სახელმწიფოში ცხოვრების თაობაზე თუ უსაუბრიათ?***

– თქვენ წარმოიდგინეთ, საუბარი ამაზეც არის.

***– როგორი რეაქციები აქვთ?***

– კონკრეტულ საკითხებზე, ჯერჯერობით, საუბარი არ არის, ალბათ, ამის დროც დადგება.

***– ალბათ, ეს დამოკიდებულია რუსეთის დასუსტებაზე?***

– ეს დამოკიდებულია დეოკუპაციის პროცესზე.

***– თქვენ თქვით, ტერმინალის მშენებლობა იმიტომ დაიწყო, რომ გარკვეული შემოსავლები არსებობს, რომელიც არაოფიციალურად ე.წ. ხელისუფლების წარმომადგენლების ჯიბეებში მიდიოდა, ოპოზიციამ უთხრა, ბიუჯეტში წავიდესო და ტერმინალს ამიტომ ახსენებენო. ეს დაკავშირებული ხომ არ არის, რუსეთის მხრიდან აფხაზებისთვის საბიუჯეტო თანხების შემცირებასთან?***

– შესაძლოა, ამასაც უკავშირდებოდეს. ამ თვალსაზრისით, აფხაზებს ძალიან მძიმე მდგომარეობა აქვთ. რუსეთი აფხაზეთს ახლა ისე აღარ აფინანსებს, როგორც ადრე, ძალიან უხვად აფინანსებდა. ვითარება შეცვლილია. ამიტომ აფხაზები ცდილობენ, თავისი ბიუჯეტი, რაც შეიძლება მეტად შეივსონ. რა თქმა უნდა, ალბათ, ამასაც უკავშირდება.

***– ხომ არ იცით, როგორი ვითარებაა ელექტროენერგიის გადასახადთან დაკავშირებით, ცოტა ხნის წინ, რუსებმა აფხაზებს ელექტროენერგიის გადახდა რომ მოსთხოვეს?***

– დაახლოებით 900 მილიონზეა საუბარი. 130 მილიონი გადახდილია, მაგრამ დანარჩენ თანხებს როგორ მოუყარონ თავი და როგორ გადაიხადონ, ჯერ არ იციან. ამ თვალსაზრისით, ძალიან მძიმე მდგომარეობაა.

ანუ საახალწლოდ ელექტროენერგია ექნებათ თუ არა, ჯერ თვითონაც არ იციან. ნამდვილად მძიმე მდგომარეობაა, დაახლოებით მილიარდ რუბლამდეა გადასახადი. თანხა, ბუნებრივია, არ გააჩნიათ. რუსეთი ელექტროენერგიას ისე არ იძლევა, როგორც ადრე იძლეოდა.

***– ამასთან დაკავშირებით აფხაზები საქართველოს ხელისუფლებას ხომ არ დაკავშირებიან და დახმარებაზე ხომ არ ყოფილა ლაპარაკი?***

– ჩემთვის ასეთი კონტაქტები უცნობია. ენგურჰესის გამომუშავება ახლა მინიმუმამდეა დასული. ამიტომ არანაირი სხვა ვალდებულება, გარდა იმისა, რომ გამომუშავებული ელექტროენერგიის 40% მივაწოდოთ, ჩვენ არ გვაქვს.

ეკონომიკა

# ხილ-ბოსტნეულით ვაჭრობისას ყველაზე ცუდი პარტნიორი რუსეთია, ყველაზე კარგი კი — საქართველო




ბოსტნეულით ვაჭრობის მიმართულებით არსებული პერიოდული შეზღუდვების გამო, east fruit-მა გადაწყვიტა, მოემზადებინა ყველაზე ცუდი სავაჭრო პარტნიორების რეიტინგი.

როგორც გამოცემა წერს, აღნიშნული კვლევა მხოლოდ კონკრეტულ ფაქტებს ეფუძნება. მათივე ცნობით, რეიტინგი რისკების გაანალიზებაში დაეხმარება იმ ფერმერებსა თუ ინვესტორებს, რომლებიც გაფართოებას, ინვესტირებას, ან უბრალოდ, ბაზრების დივერსიფიცირებას გეგმავენ.

აქვე აღსანიშნავია, რომ რეიტინგში შედის მხოლოდ ის ქვეყნები, რომლის შიდა ბაზრებზე East fruit-ის მკვლევარებს ხელი მიუწვდებათ. კერძოდ, უზბეკეთი, ტაჯიკეთი, საქართველო, მოლდოვა, რუსეთი, ბელარუსი, თურქეთი, პოლონეთი, უნგრეთი, სლოვაკეთი და რუმინეთი.

რეიტინგში გამოყენებულია ადგილობრივი სტატისტიკაც, ასევე, ბოსტნეულისა და ხილის ბაზრის მონაწილეთა გამოკითხვის საფუძველზე, დარგის სპეციალისტების შეფასებები.

შედეგების მიხედვით, ერთხმად აღიარებულია, რომ რუსეთი ყველაზე ცუდი სავაჭრო პარტნიორია. როგორც გამოცემა წერს, ეს გასაკვირი არც არის, რადგან რეგიონში არ დარჩენილა ქვეყანა, რომლის მიმართაც ვაჭრობის კუთხით რუსეთს აკრძალვები და ემბარგო პოლიტიკური მიზეზით არ გამოუყენებია.

ამასთან, ქვეყანას აქვს მაღალი საბაჟო გადასახადები, კორუფციის ტრადიციულად მაღალი დონე და არასატარიფო შეზღუდვების დიდი რაოდენობა.

ყველაზე ცუდი სავაჭრო პარტნიორების რეიტინგში, მეორე ადგილზე მოიაზრებოდა 4 ქვეყანა, პოლონეთი, ტაჯიკეთი, თურქეთი და ბელარუსი. თუმცა, მცირედი სხვაობით, პოლონეთი გახდა მეორე ადგილის მფლობელი. აქ ერთ-ერთი გადამწყვეტი კორუფციის მაღალი დონე და ევროკავშირის კანონმდებლობის იგნორირება გახდა. კერძოდ, პოლონეთმა არაერთხელ დაუწესა უკრაინას აკრძალვა სოფლის მეურნეობის პროდუქტების იმპორტზე, ყოველგვარი ახსნის გარეშე.

მაშინ, როდესაც ევროკავშირს ყველა ქვეყნისთვის ერთნაირი სავაჭრო პოლიტიკა აქვს. გარდა ამისა, პოლონეთი აქტიურად ეხმარება რუსეთს უკრაინის წინააღმდეგ ბრძოლაში, კერძოდ, სასაზღვრო გამშვები პუნქტების უკანონო ბლოკირებით, უკრაინას დიდი ეკონომიკური პრობლემები შეუქმნა.

მესამე ადგილზეა თურქეთი, რომელსაც საკუთარი ბაზრის დაცვის მაღალი დონე აქვს. ხშირად აწესებს აკრძალვებს კონკრეტული პროდუქტების ექსპორტ-იმპორტზე, რაც აფერხებს სხვა ქვეყნებთან გრძელვადიანი სავაჭრო ურთიერთობების დამყარებას.

მეოთხეა ტაჯიკეთი, სადაც მთავარი რისკ-ფაქტორი საბაჟო კორუფციის დონეა. შედარებით უკეთესი ვითარებაა ამ მხრივ ბელარუსში, თუმცა ზოგადად, პრობლემები იგივეა, რის გამოც, ხილისა და ბოსტნეულის ბიზნესით დაინტერესებულთათვის საიმედო პარტნიორად ვერ ჩაითვლება.

მეექვსე ადგილს იკავებს უზბეკეთი. როგორც გამოცემა წერს, ბოლო 5 წლის განმავლობაში ქვეყანას ამ მიმართულებით გაუმჯობესება აქვს და მუდმივად ცდილობს გახსნას ახალი ბაზრები, თუმცა საერთო სურათს აფუჭებს ექსპორტზე პერიოდული აკრძალვები და ასევე, რიგ საქონელზე გადასახადების მხოლოდ დროებითი ანულირება.

აღნიშნულ რეიტინგში კიდევ ორი ევროკავშირის წევრი ქვეყანა, უნგრეთი და სლოვაკეთი მოხვდა, რომლებმაც საკუთარი რეპუტაცია უკრაინიდან იმპორტის სრულიად დაუსაბუთებელი აკრძალვით შელახეს.

მეცხრე ადგილი ეკუთვნის რუმინეთს, მას იგივე პრობლემა აქვს, რაც სხვა ევროკავშირის წევრს, მაღალი სატარიფო გადასახადი, თუმცა მას შეუძლია შედეგების გაუმჯობესება, ახლახან დაწესებული კორუფციის და არასატარიფო აკრძალვების მიმართულებით რეგულაციებით.

უკრაინა რეიტინგში მეათეა. მის ძირითად პრობლემად მიჩნეულია კორუფციის დონე და საბაჟო პროცედურების შენელება. თუმცა სხვა ასპექტებში ქვეყანა ბევრად უკეთ მუშაობს, ვიდრე ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნები.

მოლდოვა მეთერთმეტე ადგილზეა, სადაც ვითარება სულ უფრო უმჯობესდება, სხვადასხვა ხელოვნური შეზღუდვების რაოდენობა კი მცირდება.

აღნიშნულ რეიტინგში საქართველო ყველაზე კარგ სავაჭრო პარტნიორადაა მიჩნეული. როგორც გამოცემა წერს, აქ ვაჭრობის სრული ლიბერალიზაციაა, ამასთან, არის დაბალი გადასახადები. იმპორტ/ექსპორტზე აკრძალვების და კორუფციის დაბალი დონე, რაც მას კარგ სავაჭრო პარტნიორად აქცევს, მიუხედავად იმისა, რომ შიდა ბაზარი მცირე ზომისაა.

# როგორ დაიცვა კოდორის ხეობა მხედრიონმა

**ინტერვიუ ომის ვეტერან, პოლკოვნიკ დოდო გუგეშაშვილთან. დღეს გუგეშაშვილი აფხაზეთის ომში რუსეთის ღიად მონაწილეობის დამადასტურებელ ფაქტებზე და ომის დროს კოდორის ხეობის დაცვის დეტალებზე გვიამბობს.**

– აფხაზეთის სეპარატისტული მთავრობის თავდაცვის სამინისტროდან კონფედერაციის სამხედრო გენერალ-მაიორ მატვეევთან გაგზავნილ დოკუმენტში ეწერა: 1993 წლის 11 მაისიდან 10 აგვისტოს ჩათვლით აფხაზეთის აღმოსავლეთ ფრონტზე წარმატებულად მოქმედებდა სპეცდანიშნულების რაზმი „დელფინი“(დნესტრისპირეთის მილიციის ბატალიონის საგანგებო შენაერთი).

„დელფინმა“ მტრის (ანუ ქართული საჯარისო ნაწილების) ზურგში 12 საბრძოლო ოპერაცია აწარმოა. გაანადგურა რადიო-სარელეო ხაზი, ტექნიკა, ცოცხალი ძალა. შენაერთი წარმატებულად ატარებდა დეზინფორმაციისა და დეზორიენტაციის ოპერაციებს მტრის (ე.ი. ქართველების) ზურგში, რამაც ფრონტის ყველა ხაზზე წარმატებული შეტევები უზრუნველყო“.

გავიხსენოთ, სოხუმის პოზიციებზე რაციებით გაცემული ბრძანებები უკან დახევის, ან პოზიციების მოხსნის შესახებ. აშკარაა „დელფინის“ „შედეგიანი ქმედებები“. თუმცა, ანალოგიურად მოქმედებდნენ ვაიქართველებიც და აფხაზეთში მცხოვრები ე.წ. „მშვიდობიანი“ სომხური მოსახლეობის დიდი ნაწილი.

27 სექტემბერს, როცა რუსეთ-საქართველოს ცამეტთვიანი ომის შედეგად, აფხაზეთში სოხუმი დაეცა, ზუგდიდში ჩატარდა მიტინგი, სადაც ვაიქართველების ველური ბრბო დიდი აღტყინებით ზეიმობდა მათ მიერ წოდებული „ხუნტის ჯარების“ განადგურებას და სოხუმის დაცემას. ვიდეოკადრებმა შემოგვინახა, თუ როგორ ეხვევიან და ულოცავენ ერთმანეთს ეშმაკისთვის სულ მიყიდული ქართველები.

27 სექტემბერს ხობში, რესტორან „მედეაში“ სოხუმის დაცემასთან დაკავშირებით „საზეიმო სუფრა“ გაიხსნა. ქუჩაში დაკლული საქონელი გამოკიდეს გამვლელ-გამომვლელისთვის.

სოხუმისთვის განკუთვნილი, შეიარაღებით და ტექნიკით სავსე ეშელონები იდგნენ ზუგდიდში, სენაკში, სხვა რაიონებში, „ზვიადისტებისგან“ დაპატიმრებულ-დაყაჩაღებულები.

სოხუმის დაცემისა და ჭუბერის სასაკლაოს მერე გამსახურდიას მომხრე შეიარაღებულ ფორმირებებს დაკავებული ჰქონდათ ზუგდიდი, სენაკი, ჩხოროწყუ, წალენჯიხა, აბაშა, ხობი, მარტვილი, ფოთი, სამტრედია. ფოთიდან, დაყაჩაღებული გემებიდან ტონობით გაჰქონდათ სურსათი, პროდუქტი, საწვავი.

ამ დროისთვის გამსახურდია ისევ აფხაზეთში იმყოფებოდა. ოჩამჩირე და გალიც დაცლილი იყო ქართული ჯარებისა და მოსახლეობისგან. უკვე დაცემული იყო ოჩამჩირე-გალი. გამსახურდიას თავის გარემოცვასთან ერთად შტაბი ჰქონდა აფხაზეთში.

ხობში შუა ქალაქში ზვიადისტებთან ერთად მოქმედებდა აფხაზ-ჩეჩენ-კაზაკთა 70 კაციანი ჯგუფი. სეპარატისტების 100 კაციანი რაზმი ხობის საერთო საცხოვრებელში იყო დაბანაკებული. სენაკის რაიონის სოფელ მენჯში დაბანაკებული იყო სეპარატისტების 100 კაციანი რაზმი, აფხაზურ-კონფედერატების რაზმები ზუგდიდის ქალაქის საავადმყოფოში, ზუგდიდის სოფელ კახათის საერთო საცხოვრებელში.

2002 წლის 14 აგვისტოს აფხაზეთის სეპარატისტული მთავრობის თავდაცვის მინისტრი სოსლანიევი (1992-1993 წლებში) ინტერვიუს აძლევს რუსულ სააგენტო „ინტერფაქსს“: „ჩვენ ვაპირებდით ქართული საჯარისო შენაერთებისგან გაგვენთავისუფლებინა სამეგრელო და არ დაგვეშვა ქართული ჯარების შესვლა აჭარაში. ჩვენ თავდაპირველი გეგმის თანახმად, უნდა შეგვექმნა აფხაზეთის, სამეგრელოს და აჭარის რეგიონებისგან დამოუკიდებელი სახელმწიფოების კონფედერაცია. ამ შემთხვევაში საქართველო მოწყვეტილი იქნებოდა შავ ზღვას. სოხუმის აღების მერე კონფედერაციის ჯარები სამეგრელოსა და აჭარისკენ უნდა დაძრულიყვნენ შეთანხმების თანახმად, ნაწილობრივ ასეც მოხდა, მაგრამ მერე მოსკოვიდან გაგვაჩერეს!“.

***– ეჭვგარეშეა, რომ აფხაზეთში რუსეთ-საქართველოს ომი მიმდინარეობდა; სოხუმი სწორედ რუსებმა აიღეს სეპარატისტებთან და კონფედერატებთან ერთად, რომელიმე დოკუმენტს ხომ არ მიუთითებთ, რუსების ამ კუთხით აღიარების შესახებ?***

– 2002 წელს, რუსეთის სახელმწიფო დუმის წევრი მიტროფანოვი, ტელეარხ „ტვეცეს“ გადაცემაში „ჩვენი ვერსია“ აცხადებს, რომ „არავისთვის არაა საიდუმლო, რომ რუსები ეხმარებოდნენ აფხაზებს. რუსული არმია აფხაზებთან ერთად მოქმედებს, ეხმარება მათ. ჩვენ არასოდეს მივცემთ აფხაზეთს ქართველებს. შევარდნაძეს არმია არ ჰყავს, ტერიტორიებს ვერ აკონტროლებს, არ აქვს სერიოზული ფინანსური რესურსები. ერთადერთი მას გააჩნია მამა ბუშთან კავშირები და აქვს ნატოს იმედი. იგი გვპირდება „ნატოს“ ჯარების შემოყვანას საქართველოში. ყველამ კარგად ვიცით, რომ „ნატოს“ ჯარები აფხაზეთში არ შევა და ომს არ დაიწყებს. გიჟები ხომ არ არიან, მთებში ირბინონ და აფხაზებისგან, რუსებისგან და სხვა დანარჩენებისგან ტყვია მიიღონ. ეს არ მოხდება!

პუტინი ვერ იტანს საქართველოს, ქართველებს, ამერიკელებსაც ვერ იტანს, მაგრამ მათ იძულებით უწევს ანგარიშს. ქართველებისთვის ანგარიშის გაწევა არაა საჭირო. ქართველები უნდა მოახრჩო!“.

***– ცნობილია, რომ თქვენ თქვენი რაზმით დალის (იგივე კოდორის) მოსახლეობასთან ერთად ხეობას სოხუმის დაცემამდე და სოხუმის დაცემის მერეც იცავდით; მოგვიყევით ამის შესახებ.***

– 1993 წლის აპრილის ბოლოს, ჯაბა იოსელიანისგან მიღებული საგანგებო დავალების თანახმად, ჩემს რაზმთან ერთად ოჩამჩირიდან დალის ხეობაში „გავემგზავრეთ“. საბრძოლო მასალებით, პროდუქტებით სავსე „გაზ 66“-ით. ფქვილის და კონსერვის ქილებით სავსე ტომრებთან „საპატიოდ მიწვენილი“ გვქონდა ორი „სტრელა“. ულამაზესი ხეობის შუაწელამდეც არ ვართ მისულები, საშინელი ქარაშოტი ამოვარდა. წვიმის თქეში მდინარე კოდორის ღრიალს ერწყმის. კაბინაში ვზივარ ახალციხელ მძღოლთან ერთად. ძარაზე ბიჭები ილუმპებიან. მე „პრივილიგირებულ“ მდგომარეობაში ვარ, მხოლოდ ვიყინები ჯერჯერობით.

გრუხუნით ავაღწიეთ საკენამდე, მჟავე წყლებისკენ ავუყევით გზას, რომელზედაც მხოლოდ ტრაქტორის ნაკვალევია. ანკერებთან (მაღალი ძაბვის ანძები) მანქანამ ღმუილს უმატა აღმართში, მძღოლი ცდილობს, როგორმე ააგდოს მანქანა ტალახად ქცეულ გზაზე, მერე მანქანა და მძღოლი ერთდროულად კარგავენ მართვას და ელვის უსწრაფესად უკუსვლით, თავდაღმართში ვეშვებით.



კოდორის ღრიალში მესმის მძღოლის ბღავილი „გადახტი!“. თვითონ მძღოლი კაბინის კარებს აღებს და ხტება. მე კაბინაში ვარ ჩაჭედილი. არც ვცდილობ კაბინის გაგლეჯას და გადახტომას. ან კარები ჩამითრევს და შუაზე გამაპობს, ან გადარეულ კოდორში გადავეშვები მანქანით. შეშინებასაც ვერ ვასწრებ, უწონადო სივრცეში მოხვედრილი კოსმონავტივით, ხან ჭერს ვეხეთქები თავით, ხან ისევ კაბინის კარებს და სკამს.

„ღმერთო, მიშველე!“, – ვიმეორებ გამუდმებით. რაღაც უხილავი, კეთილი ძალის მეშვეობით მანქანა ხეებში იჭედება და ჩერდება. ანთებული ფარების შუქზე ჯერ ამოყირავებულ სილუეტებს ვხედავ, მერე თავდაყირა მდგომარეობიდან ნორმალურ მდგომარეობას ვუბრუნდები. ავთო პაკელიანის, სერგე გერასიმენკოს, ემზარი „ზღარბის“ და ბიჭების შეშფოთებული სახეების დანახვაზე ისტერიულად ვიცინი: მანქანის ძარაზე დაწყობილი ტყვია-წამალი და ჭურვები, რომ აფეთქებულიყო, ჩემი სხეულის ნაკუწებსაც ვერავინ იპოვიდა გაგიჟებულ მდინარეში.

გურჩიანების კარავში მივდივართ. მანქანასთან ავთო ქალდანი, ახალციხის ბატალიონელი მძღოლი, სერგო „პოლიაკი“ რჩებიან. გურჩიანის მეუღლე ზოია დათვის ქონით მპოხავს, რინგზე გასასვლელი სპორტსმენივით. ზეწრით მკრავს მერე და კოვზით ცხელ რძეს მასმევს. არტახებში შებოჭილივით ვგრძნობ თავს, დაჟეჟილი სხეული თვალს არ მახუჭვინებს.

დილით სვანი ემზარი (ცხვარი) შემოდის, უკვე მზად ვარ წასასვლელად, მაკიაჟს ვიკეთებ. ბიჭები ჩემს ადგომას აპროტესტებენ. მაკიაჟი რაღად გინდა, დათვებს ეპრანჭები? – შეფარული სიბრაზით მეკითხება როლიკო გუჯეჯიანი. მოზომილად ვიღიმები, სახის კუნთებიც კი მტკივა. არ ვიმჩნევ. ჩვენი მანქანაც მოგრუხუნდა. სერგო გერასიმენკო ჩვეული ღიმილით, ჩვეულ ფრაზას ამბობს: „სუ, ყველაფერი მშვიდობა“, უხარია ჩემი დანახვა, მოსიარულის. ბადრი გელოვანი (კინგკონგი) 31 კილოგრამიან „აგს“-ს ხელში ისე ატრიალებს, თითქოს მსუბუქი სანადირო თოფი ეჭიროს. სვანები, სვანურად კითხულობენ დილის ლოცვას. პირჯვარს ვიწერთ. გულუხვ მასპინძლებს ვემშვიდობებით. მე ისევ კაბინაში „ავეტიე“, ბიჭები ძარაზე აძვრნენ. საკენის მჟავე წყლებისკენ ვაგრძელებთ გზას.

მედიცინა

## კენჭოვანი დაავადებების მკურნალობა ხალხური რეცეპტებით

– დედოფლისთითა, სამფერი ია და ორკბილა, თითოეული 10-10 გრამის ოდენობით ავილოთ და დავასხათ 1 ლიტრი წყალი, ვადუღოთ 5-7 წუთი. მოცემული რაოდენობა 1 დღე-ღამის დოზაა.

❖ ❖ ❖

– 2 ჩაის კოვზ წვრილად დაჭრილ თავშავას დაასხით 2 ჭიქა (400 გრამი) მდუღარე წყალი. მოცემული ნაყენი დღე-ღამის დოზაა.



გაფრთხილება: თავშავას წყლიანი ნაყენის გამოყენება მენსტრუალური ანომალიების დროს აძლიერებს საშვილოსნოდან სისხლდენას და იწვევს გართულებებს.

❖ ❖ ❖

– მიიღეთ კოწახურის ფოთლის ნაყენი 40 გრადუსიან სპირტზე 1:10-ზე შეფარდებით (1 ნაწილი წვრილად დაჭრილი ფოთოლი, 10 ნაწილი სპირტი) 25-30 წვეთი დღეში სამჯერ 2-3 კვირის განმავლობაში.

ან: – ნახევარ ჩაის კოვზ დაქუცმაცებულ კოწახურის ქერქს ან ფესვებს ასხამენ ერთ ჭიქა მდუღარე წყალს. საჭიროების შემთხვევაში დღეში 2 ჭიქა გამონაცემს სვამენ.

❖ ❖ ❖

– ერთ სუფრის კოვზ ხმელ, წვრილად დაჭრილ კაკლის ფოთოლს დაასხით ერთი ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი. მოცემული ნაყენი დღე-ღამის დოზაა.

❖ ❖ ❖

– აიღეთ მინდვრის ნემსას მიწისზედა ნაწილები 20 გრამის ოდენობით. დაასხით 200 გრამი წყალი. მოცემული გამონაცემი დღე-ღამის დოზაა.

❖ ❖ ❖

– 40 გრამ ნეგოს ყვავილებს დაასხით 1 ლიტრი მდუღარე წყალი. მოცემული გამონაცემი მიიღეთ მთელი დღე-ღამის განმავლობაში. იგი კარგად მოქმედებს მთლიანად ღვიძლზე. განსაკუთრებით ციროზის და ჭვალების დროს. აგრეთვე ნაღველსადინარებსა და მთლიანად ნაღვლის ბუშტზე.

❖ ❖ ❖

– აიღეთ კულმუხოს ფესურა 20 გრამის ოდენობით. დაასხით 200 გრამი ადუღებული წყალი. მოცემული გამონაცემი დღე-ღამის დოზაა.

❖ ❖ ❖

– იღებენ 1 ჭიქა ადუღებულ ცხელ რძეს, 1 ჭიქა ცხელ წყალს და მასში ასხამენ სვიით ჩვილი ყლორტების ან ტოტებისგან გამოწურულ 2 სუფრის კოვზ წვენს. ამ ნარევს ნაწილ-ნაწილ სვამენ ერთი დღის განმავლობაში.

ზამთარში ასევე იქცევიან, მაგრამ სვიის წვენის ნაცვლად 2 სუფრის კოვზ წინასწარ ძალიან წვრილად დაქუცმაცებულ სვიის ნაყოფებს იღებენ და მთელი ღამე თბილი წყლისა და რძის ნარევში ალბობენ თბილ ადგილზე დადგმით. მას თბილ მდგომარეობაში სვამენ ერთი დღის განმავლობაში.

ან: – ერთ ჩაის კოვზ დაქუცმაცებულ სვიის ნაყოფებს ასხამენ ერთ ჭიქა მდუღარე წყალს (ერთი დღის დოზა). სვამენ ყლუპ-ყლუპად, უკეთესია საღამოთი მიღება.

❖ ❖ ❖

– 2 ჩაის კოვზ წვრილად დაჭრილ ტყის ჩიტისთვალას დაასხით ერთი ჭიქა ცივი წყალი. დადგით 8 საათი. ამის შემდეგ 1 დღის განმავლობაში მიიღეთ რამდენიმე დალევაზე.

❖ ❖ ❖

– 2 ჩაის კოვზ დაქუცმაცებულ ფარსმანდუკის ფოთლებისა და ყვავილების ნარევს დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი. 1 საათის შემდეგ გაწურეთ და 1 დღის განმავლობაში სვით რამდენიმე ნაწილად.

❖ ❖ ❖

– აიღეთ მუხის ქერქი, თავშავა, კოთხოჯი, ფარსმანდუკის ყვავილები 20-20 გრამის ოდენობით, ფიჭვის წვრილი ტოტები წიწვებით, ორკბილა, სამფერი ია 40-40 გრამის ოდენობით. თითო კილოგრამი პურის ქატო, ჭვავის გაღვივებული მარცვალი და შავი მოცხარის ფოთლები. ყოველივე ერთად მოათავსეთ ქსოვილის პარკში და ხარშეთ წყალში ჩაშვებით 30 წუთის განმავლობაში ნელი დუღილით. გაწურეთ და გააზავეთ წყლის აბაზანაში (აბაზანის გამოყენება შეიძლება 2 დღის განმავლობაში). პარკის შიგთავსი გადაყარეთ.

– 3 ჩაის კოვზ დაქუცმაცებულ იფნის ფოთლებს ასხამენ 2 ჭიქა მდუღარე წყალს და 10 წუთს დგამენ (1 დღის დოზა) იფნის ქერქსაც ასეთივე დოზირებით აყენებენ.

❖ ❖ ❖

– 3-5 გრამი ხარისჩლიქას ბალახი დააყენეთ 1 ჭიქა წყალზე (მთელი დღის დოზა).

ან: – აიღეთ თანაბარი რაოდენობით ხარისჩლიქას ბალახი და ნეგოს ყვავილები. 1 სუფრის კოვზ ნარევს დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი. მოცემული გამონაცემი დღე-ღამის დოზაა.

ეკონომიკა

## პუტინის აგარაკი ბიჭვინთაში 1 ლარად?! – რა ელით აფხაზებს



თითქმის უკვე გადაწყვეტილია, რომ ბიჭვინთაში საბჭოთა დიქტატორების საყვარელი რეზიდენცია, ე.წ. ხრუშჩოვის აგარაკი, 186 ჰექტარი რელიქტური ფიჭვის ტყე-პარკით და საზღვაო აკვატორიით, ვლადიმირ პუტინს გადაეცემა და ის კრემლის ლიდერის თანამედროვე რეზიდენციად გადაკეთდება. წელიწადზე მეტია ბიჭვინთა პუტინის ღია სამიზნედ იქცა და რუსეთი ახლა უკვე ერთგვარი „ფინანსური მოგუდვის“ პოლიტიკით ცდილობს, აფხაზებს რეზიდენცია დაათმობინოს... გასულ წელს აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებასთან აგარაკის რუსეთის საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულება ფარულად გაფორმდა და ამ დრომდე აფხაზების პროტესტის გამო შეთანხმება ვერ ამოქმედდა. თუმცა დე ფაქტო პრეზიდენტის, ასლან ბჟანიას, ბოლო განცხადებით გამოჩნდა, რომ ყველაფერი უკვე გადაწყვეტილია და პუტინს ბიჭვინთა საკუთრებაში გადაეცემა „მადლიერების ნიშნად“.

ბიჭვინთაში ე.წ. ხრუშჩოვის აგარაკის თემა რუსეთისთვის აქტუალური უკრაინის ომით გამოწვეული სანქციების გამო გახდა. რუსი ოლიგარქებისთვის ევროპის კურორტებზე დასვენების შეზღუდვის საპირწონედ კრემლმა გამოსავალი მოიფიქრა – ბიჭვინთის აგარაკების ხელში ჩაგდება და მისი ფეშენებელურ კურორტად გადაკეთება. თუმცა, წინ დიდი დაბრკოლება დახვდა – აფხაზი ხალხის მწვავე წინააღმდეგობა.

სამართალი

## ბათუმში ღამით ორი ადამიანი დაჭრეს




ბათუმში, გვიან ღამით, „მაჭახელას“ მიმდებარე ტერიტორიაზე 2 ადამიანი დაჭრეს – ინფორმაციას TV25 ავრცელებს და წერს, რომ დაჭრილები სამედიცინო დაწესებულებაში გადაიყვანეს.

TV25-ის თქმით, მათ კლინიკა მალევე დატოვეს, რადგან მძიმე ჭრილობები არ აღენიშნებოდათ და მათ სიცოცხლეს საქმე არ ემუქრებოდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლით დაიწყო, რაც ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებას გულისხმობს. დაკავებულია ერთი პირი. დამატებითი დეტალები ამ დროისთვის უცნობია.

## ამერიკაში საპრეზიდენტო მარათონია



აშშ მომავალ წელს ახალ პრეზიდენტს აირჩევს. თანახმად „ამერიკის ხმის“ ინფორმაციისა, საპრეზიდენტო მარათონს კიდევ ერთი კაცი გამოეთიშა. ეს დაკოტას შტატის გუბერნატორი ბერმანია. ის წარმატებული ბიზნესმენია, გუბერნატორად კი მეორე ვადით აირჩიეს.

ამავე დროს საპრეზიდენტო ამბიციების შესახებ რესპუბლიკური პარტიის აქტივისტმა ლი ჩეინიმ გამოაცხადა. ის ცნობილია თავისი ანტი-ტრამპული პოზიციით.

– დონალდ ტრამპი ამერიკულ დემოკრატიას საფრთხეს უქმნის, – თქვა ჩეინიმ.

## სახელმწიფო დეპარტამენტი ღაზაში მდგომარეობის გაუმჯობესებას მიესალმა



აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი ღაზაში მდგომარეობის გაუმჯობესებას მიესალმა. ამის შესახებ სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა მეთიუ მილერმა განაცხადა:

–პროგრესი სახეზეა! – თქვა მან.

შემდეგ მილერმა დაამატა, რომ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. ამიტომ ღაზაში სიტუაციის საბოლოოდ გაუმჯობესებაზე საუბარი ნაადრევიაო.

## რუსეთის არმიაში დეზერტირების რაოდენობა გაიზარდა



რუსეთ-უკრაინის ომის გახანგრძლივებასთან ერთად, რუსეთის არმიაში დეზერტირთა რაოდენობა გაიზარდა. ამის თაობაზე იუწყება გაზეთი „მოსკოვ ტაიმსი“. გაზეთის ცნობით, სულ უფრო მეტი რუსი სამხედრო ითხოვს დახმარებას იმისთვის, რომ უკრაინაში არ გააგზავნონ, ან იმაში, რომ არმიიდან გაიქცეს.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## დიდმა ბრიტანეთმა სასანქციო სიაში რუსეთში სამხედრო ტექნიკის ექსპორტიორები შეიყვანა

დიდმა ბრიტანეთმა სანქციების სიას რუსეთში სამხედრო ტექნიკის ექსპორტიორები დაამატა. ამის შესახებ ინფორმაციას დიდი ბრიტანეთის მთავრობის პრესსამსახური ავრცელებს.

დიდი ბრიტანეთის სანქციების ახალ პაკეტში სამხედრო და ელექტრონული ტექნიკის მწარმოებელი კომპანიები, ბელარუსიდან, ჩინეთიდან, სერბეთიდან, თურქეთიდან, არაბთა გაერთიანებული საამიროებიდან და უზბეკეთიდან მოხვდნენ.

დიდმა ბრიტანეთმა სანქციების სიაში, ასევე, რუსეთიდან 31 ფიზიკური და იურიდიული პირი შეიყვანა, რომლებიც თვითმფრინავების და რაკეტების წარმოებასთან და ძირითადი ელექტრონული კომპონენტების იმპორტთან არიან დაკავშირებულნი. სანქციები შეეხო ოთხ იურიდიული პირს არაბთა გაერთიანებული საამიროებიდან, რომლებიც რუსეთს ნავთობზე დაწესებული სანქციების გვერდის ავლაში ეხმარებიან.

## პერუს საკონსტიტუციო სასამართლომ ყოფილი პრეზიდენტის, ალბერტო ფუხიმორის გათავისუფლების ბრძანება გასცა

პერუს საკონსტიტუციო სასამართლომ ყოფილი პრეზიდენტის, ალბერტო ფუხიმორის გათავისუფლების ბრძანება გასცა, – ამის შესახებ ინფორმაციას სააგენტო The Associated Press-ი ავრცელებს. მათივე ცნობით, სასამართლოს მიერ გამოცემული რეზოლუცია 85 წლის ფუხიმორის, ჰუმანიტარული ნიშნით, დაუყოვნებლივ გათავისუფლებას მოითხოვს.

ცნობისთვის, ფუხიმორს 25 წლით თავისუფლების აღკვეთა 2009 წელს ადამიანის უფლებების დარღვევის ბრალდებით მიუსაჯეს. მას ბრალად, 1990 წლიდან 2000 წლამდე სამხედრო რაზმების მიერ „ნათელი გზის“ აჯანყებულების მკვლელობების მოწყობა ედება.

## გერმანიაში რამდენიმე უძველესს განძს მიაგნეს

მოხალისე არქეოლოგების ჯგუფმა გერმანიაში რამდენიმე უძველესს განძს მიაგნო.

ნაპოვნ უძველესს ნივთებს შორისაა შვიდი ხმალი, რვა ათასი ვერცხლის მონეტა, საიუველირო ნაკეთობები და კერამიკა. აღნიშნულ არტეფაქტებს სამ სხვადასხვა ადგილას მიაგნეს. კულტურის სახელმწიფო სამმართველოსა და გერმანიის ძეგლთა დაცვის წარმომადგენლებმა 22 ნოემბერს წარმოადგინეს ჩატარებული გათხრების შედეგად ნაპოვნი არტეფაქტები და მოხალისეებს მადლობა გადაუხადეს. პირველი აღმოჩენა ქალაქ მიროვის მახლობლად გაკეთდა. მოხალისეებმა შვიდი ხმლის ნარჩენებს მიაგნეს, რომელთა ასაკი დაახლოებით 3000 წელს შეადგენს. სპეციალისტების აზრით, ისინი ბრინჯაოს ხანას განეკუთვნებიან. არქეოლოგები ვარაუდობენ, რომ ხმლები რიტუალის შესრულების დროს ჩაფლეს მიწაში, როგორც ღმერთებისადმი განკუთვნილი ძღვენი. ხოლო მიწის მოძრაობის შედეგად ისინი დაიმტვრა.



მეორე აღმოჩენის დროს ნაპოვნი იქნა შუა საუკუნეების დროინდელი თითქმის 6000 ათასი ვერცხლის მონეტა. ეს აღმოჩენა გერმანიის კუნძულ რიუგენზე გაკეთდა, ქალაქ მიროვიდან ჩრდილოეთით 200 კილომეტრში. მონეტების უდიდესი ნაწილი თიხის ქოთანში იყო მოთავსებული, ნაწილი კი ირგვლივ იყო მიმოფანტული. მონეტების უმრავლესობა გერმანიაში იყო დამზადებული, ხოლო მათი დაახლოებით ათი პროცენტი ჩამოტანილი იყო ინგლისიდან, დანიიდან, ბოჰემიიდან (დღევანდელი ჩეხეთი) და უნგრეთიდან. ეს ყოველივე კი იმის მტკიცებულებაა, რომ ეს ადგილი სავაჭრო გზების გადაკვეთის ადგილს წარმოადგენდა. მკვლევარებმა ამ კოლექციას მე-11 საუკუნის უდიდესი განძი უწოდეს.

ბოლო, მესამე განძს კი, ჩრდილოეთ გერმანიის ქალაქ მელნში მიაგნეს. მასში უამრავი ნივთი აღმოჩნდა, რომლებიც, ასევე, მე-11 საუკუნეს განეკუთვნება. მათ შორის იყო თიხის ქოთანი, რომელშიც 2000-მდე ვერცხლის მონეტა აღმოჩნდა. ასევე, ოქროს ყელსაბამი დამშვენებული მარგალიტით, მთის ბროლით და კარნელინით, ბეჭდები და ორი რელიქვია. ერთი წარმოადგენს ბრტყელ ლითონის გულსაკიდს, მეორე კი ჯვარცმას.

## „უკანასკნელი ვიკინგი“ 40 მეტრის სიმაღლიდან გადახტა და რეკორდსმენი გახდა



ნორვეგიელმა ექსტრემალმა მსოფლიოს რეკორდის დამყარება გადაწყვიტა და 40 მეტრის სიმაღლის კლდიდან ყინულიან წყალში გადახტა.

ნორვეგიელ კენ სტორნესს მისი ექსტრემალური ვიდეოების გამო, რომლებშიც ის საკუთარ თავს გამძლეობის გამოცდებს უწყობს, „უკანასკნელ ვიკინგს“ უწოდებენ. სოციალურ ქსელებში ყოფილ სამხედროს თითქმის ნახევარი მილიონი ხელმომწერი ჰყავს. თავის ბოლო ვიდეორგოლში ნორვეგიელი შეეცადა რეკორდი ე.წ. სასიკვდილო დაივინგში დაემყარებინა. ეს სახიფათო ნორვეგიული სპორტია: მისი მონაწილეები დიდი სიმაღლიდან წყალში გაჭიმული ხელებით და ფეხებით ხტებიან.

თავის ბოლო ვიდეორგოლში საცურაო ტრუსებში გამოწყობილი სტორნესი მექანიკურ პლატფორმაზე დგას კლდის შვერილთან და ზღვაში ქვას ისვრის, რათა ყინული ფენა ჩაამტვრიოს. ამის შემდეგ კი ის თავად ხტება წყალში. ხოლო წყლის ზედაპირზე ამოყვინთვის შემდეგ მასთან ჰიდროკოსტიუმებში გამოწყობილი მისი გუნდის წევრები მიცურავენ. 40,5 მეტრის სიმაღლიდან განხორციელებული ნახტომით ნორვეგიელმა „სასიკვდილო დაივინგის“ ადრე დამყარებული რეკორდი დაამხო.

თაყვანისმცემლები სტორსენის სიმამაცემ აღაფრთოვანა და მას ნამდვილი შეშლილი უწოდეს.

## ქორწილის მეორე დღეს ქალი ზვიგენის მსხვერპლი გახდა



ბაჰამის კუნძულების ჯგუფის კუნძულ ნიუ-პროვიდენსზე ზვიგენი ქალს, რომელიც თაფლობის თვეს ატარებდა, ქორწილის მეორე დღეს თავს დაესხა და დაგლიჯა.

ამერიკის მასაჩუსეტსის შტატის ქალაქ ბოსტონის მკვიდრ 44 წლის ქალს 3 დეკემბერს ჰქონდა ქორწილი. მეორე დღეს ის სერფინგის დაფაზე სასრიალოდ წავიდა. ის ნაპირიდან დაახლოებით კილომეტრ-ნახევარში იმყოფებოდა, როდესაც ზვიგენი დაესხა თავს.

მტაცებელმა თევზმა რამდენჯერმე უკბინა ქალს ტანზე, ბარძაყსა და ხელზე. მალე ტურისტი ქალის დასახმარებლად ადგილზე მაშველი მივიდა. მან დაშავებული ქალი და მისი ნათესავი ნაპირზე გამოიყვანა. დაშავებულს გულის და ხელოვნური სუნთქვის პროცედურები ჩაუტარდა, მაგრამ მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

უცნობი დარჩა, თუ რომელი სახეობის ზვიგენის მსხვერპლი გახდა ახლად გათხოვილი ქალი.

## ქალი მოღალატე ბოიფრენდზე შურისძიების მიზნით გაშიშვლდა



აშშ-ში ქალი სრულიად გაშიშვლდა და თავისი ბოიფრენდის მთელი ნივთები ბინის ფანჯრიდან ქუჩაში მოისროლა, რათა ასე ეძია მასზე შური ღალატის გამო.

ქალაქ ნიუ-იორკის მკვიდრმა, 34 წლის ქალმა თავისი პარტნიორი მამაკაცი ღალატში ამხილა. სახლში დაბრუნებული ბოიფრენდს უცხო ქალთან ერთად ლოგინში მწოლიარეს დაადგა თავს. ამან ქალი გააცოფა და პარტნიორი მამაკაცის ტანსაცმლის მეექვსე სართულის აივნიდან გადაყრას შეუდგა. მისი მეზობლების თქმით, რომლებიც მომხდარს ვიდეოზე იღებდნენ, ქალი ამით არ დაკმაყოფილებულა და ტანსაცმელს მიაყოლა ვაზა, პუფი, სარკე და საყოფაცხოვრებო ტექნიკა, რომლებიც მის მოღალატე ბოიფრენდს ეკუთვნოდა.

მალე სახლთან პოლიცია გამოჩნდა. სამართალდამცავებმა ქუჩის ნაწილი გადაკეტეს. როდესაც ქალმა მამაკაცის ყველა ნივთი მოიშორა თავიდან, სხეულზე ტანსაცმელი შემოიძარცვა და სრულად გაშიშვლდა. ამის შემდეგ ის სამართალდამცავებმა შესამოწმებლად საავადმყოფოში გადაიყვანეს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ქალს და მამაკაცს ერთმანეთთან ხუთწლიანი ურთიერთობა აკავშირებდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## გეგა გეგეშიძე: „ჭორების გამო პრეზიდენტობიდან გადადგომას არ ვაპირებ“



ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტის, გეგა გეგეშიძისა და ყოფილი პრეზიდენტის, ჭიდაობაში ორგზის მსოფლიოსა და ხუთგზის ევროპის ჩემპიონის დაპირისპირების განხილვა პარლამენტშიც შედგა.

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის სხდომას ხმაური მოჰყვა. კომიტეტის თავმჯდომარის, ირაკლი მეძმარიაშვილი თქმით, სპორტული ოჯახი დიდია და თუ რაიმე სირთულე წარმოიშობა, სოციალური ქსელებით ამ საკითხების გარჩევა სწორი არ არის.

შეგახსენებთ იმასაც, რომ საქართველოს ოლიმპიურმა კომიტეტმა მხარდაჭერა ლუკა კურტანიძის მიმართ გამოხატა. ჟურნალისტებთან საუბარში ლუკა კურტანიძის განცხადებას გამოეხმაურა.

ასე რომ, ჯერ მთავრობაში ვერ ჩამოყალიბებულან, მხარი ვის დაუჭირონ.

თავად გეგეშიძე ამბობს, რომ ლუკა კურტანიძისთვის გამარჯვების მეტი არაფერი უთქვამს და ბრალს ტყუილად სდებენ.

**გეგა გეგეშიძე:**

– როგორ წარმოგიდგენიათ ლუკა კურტანიძის გაგდება? აი, როგორ წარმოგიდგენიათ, მითხარით? შეგიძლიათ გადაამოწმოთ. ალმასკომს უამრავი ადამიანი ესწრებოდა და იქ არანაკლები მსოფლიო ჩემპიონები იყვნენ. ერთი ადამიანი თუ დაადასტურებს, რომ გამარჯვების გარდა, კურტანიძისთვის რამე მეთქვას? სპორტის კომიტეტს აინტერესებდა თუ რა მოხდა. შეეძლო, უბრალოდ, კითხვა დაესვა, ჩვენთან, ფედერაციასთან გაერკვია, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონები იყვნენ, რეგიონული ფედერაციის პრეზიდენტებიც იყვნენ. თავად მისი მეგობრებიც იქ იყვნენ და ერთი კითხვა რომელიმეს რომ დაესვა, გაიგებდა, რა ხდებოდა. ალბათ, ასე იყო საჭირო, ასე უნდოდა ვიღაცას და ჭორებს აჰყვნენ. ვის რა ინტერესი აქვს, მე რა ვიცი.

კითხვაზე, აპირებს თუ არა გეგეშიძე თანამდებობის დატოვებას, განაცხადა, რომ ჭორების გამო არ გადადგება.

– რამდენი ვინმე იჭორავებს, ყველა პრეზიდენტმა უნდა დატოვოს თანამდებობა? იმის გამო, რომ ვიღაცას ასე უნდა? ჩემი დანაშაული რა არის? სცემეს კურტანიძეს? აგინეს? შეურაცხყოფა მიაყენეს? მის მერე ორჯერ დავუძახეთ, მაგრამ არ მობრძანდა. არადა, ზუსტად იმ სხდომაზე უნდა გადაწყვეტილიყო, ყრილობაზე რა საკითხებიც გავიდოდა. ჰოდა, მობრძანებულიყო სხდომაზე, გაიგებდა, რა ხდებოდა და თან დაესწრებოდა. მაგრამ ამის სურვილი არ ჰქონია. როცა მოვიდა, რისთვის მოვიდა?

შეგახსენებთ, რომ ლუკა კურტანიძის განცხადებით, 1 დეკემბერს საქართველოს ჭიდაობის ეროვნულ ფედერაციაში გამართულ ყრილობაზე დასწრების უფლება არ მისცეს და „კარისკენ მიუთითეს“. ეს ინფორმაცია სოციალურ ქსელში თავად კურტანიძემ გამოაქვეყნა.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## განცხადებები

• ოპერაციის გარეშე!!! საგვარეულო მცენარეული ნაკრების სიროფი: 1. „პლანტა“ – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზური, აუტოიმუნურიც); 2. „პლანტა-გლანდა“ – ჩირქოვანი გლანდები, ადენოიდები, ხვრინვა; 3. „პლანტა+“ – მასტოპათია (კვანძები), ფიბროადენომატოზული საშვილოსნო, მომატებული პროლაქტინი, უნაყოფობა. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

• ფიტნეს ყავა!!! გასახდომი ყავა სამმაგი ეფექტით!!! აჩქარებს დაქვეითებულ მეტაბოლიზმს, აწესრიგებს პროლაქტინს! 1 ქილა – 1 თვის სამყოფი, გამდიდრებული ნალექიანი ყავა – 30 ლარი. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577 -52-88-41.

• მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციების გან განწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

• ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან განწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

• ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის განწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

# ლელოს წინ გაჭრის საშუალება ხვამლმა არ მისცა

**ლელო-ხვამლი 34:34**

დიდი 10-ის მიმდინარე სეზონის 50-ე შეხვედრაში პირველი ფრე დაფიქსირდა. ლელო-სარასენსმა და ხვამლმა თვალსასეირო დედაქალაქურ დერბიში გამარჯვებული ვერ გამოავლინეს – 34:34.

თამაში მაღალ ტემპში წარიმართა და კარგი საყურებელი გამოდგა. ორივე გუნდს ახლდა გულშემატკივართა გუნდი, რამაც შეხვედრას დამატებითი ხიბლი შესძინა. მასპინძელი ლელო დროის უმეტესი პერიოდი ლიდერობდა, მაგრამ მუხიანელები არ დანებდნენ. თუმცა, სულ ბოლოს ლელოს მოგება მაინც შეეძლო, მაგრამ ირაკლი ყიასაშვილის 45 მეტრიდან შესრულებული ჯარიმა მიზანს ასცდა და ლოგიკური შედეგი დაფიქსირდა.

თამაში ხვამლის შეტევებით დაიწყო და ზურა ქობელაშვილმა ჯარიმით ანგარიში გახსნა. მე-9 წუთზე ოთარ ლაშხმა საკუთარი 22-იდან ფეხით ბურთი მეტოქის 22-ში გადაიტანა, იქიდან აგორებულ მოლს სანდრო ჯილაური მოწყდა, სივრცეში შეუტია და შებოჭილმა ბურთი ლუკა სახელაშვილს მისცა, ვინაც ლამაზი იერიში ლელოთი დააგვირგვინა.

პირველ ლამაზ ლელოს მე-15 წუთზე მეორე მოყვა: შალვა აფციაურმა მარჯვენა ფრთაზე, 10-მეტრიან წყვეტილთან მიიღო ბურთი, ჯერ ცერად იარა და საჭირო ადგილას ხაზი გაჭრა, მერე მეორე ეშელონი ბრძოლით გაიარა და ბურთი ლელოში დაამიწა. ყიასაშვილმა ორივე გარდასახა და ტაიმის შუაში ჯარიმაც გაიტანა.

ასეთმა ლელოებმა თამაშის იშტაზე სტუმრებიც მოიყვანა. 25-ე წუთზე უკვე საბა არაგველმა გაჭრა ხაზი სისწრაფეში, დაახლოებით 30 მეტრი ირბინა და ხელუკულმა ბურთი ლუკა ცხვედიანს ამოუგდო, რომელსაც ძელებსშუა ლელოს გატანა აღარ გასჭირვებია. თამაში რომ განახლდა, ხვამლი საკუთარ 22-ში შეცდა, ლელომ შერკინებიდან შეუტია, სახელაშვილის შეცურებულ ბურთს ყიასაშვილი მიყვა და თავისივე ლელო გარდასახა. შესვენებამდე ხვამლს ჯარიმით ორჯერ შეეძლო ჩამორჩენის შემცირება, მაგრამ ლელოზე თამაში არჩია და რომ არა აფციაურის თავგანწირული ბოჭვა, გიორგი კურტანიძე მიზანს მიაღწევდა – 24:10.

მეორე ტაიმის დასაწყისშიც პირველი ქულები ხვამლმა აიღო. ფორვარდებით რამდენიმე მიძალების შემდეგ, კურტანიძემ ჰამლეტ გოგიას ამოუგდო ბურთი და მისი ლელო ალექსანდრე მარგიანმა გარდასახა. მერე ყიასაშვილმა და მარგიანმა ჯარიმები გაცვალეს. თამაში რომ განახლდა ბექა მამუკაშვილმა მეტოქის 22-ში პირველი ბურთი მოხსნა და წამში ლელოში დაამიწა. ყიასაშვილმა 14-ქულიანი სხვაობა აღადგინა და ლელომ თითქოს გამარჯვებისკენ გაიწია.

სტუმრებმა კვლავ მოუმატეს და მალე ისევ თამაშში დაბრუნდნენ. თორნიკე აქუბარდიამ ჯარიმის სწრაფად გათამაშების შემდეგ ხაზი გაჭრა, სიჩქარე აკრიფა, ბოლო მცველი აიყვანა და ლელოში მიხეილ თაყაიშვილს შეაყოლა. მარგიანმა გარდასახა. თამაშის მიწურულს საკუთარ 22-ში უკვე ლელო შეცდა, რამაც ხვამლს 5-მეტრიანი შერკინება მოუპოვა, კურტანიძემ მოკლე ფრთაზე შეუტია და ბოჭვის მიუხედავად, ლელო გაიტანა. მარგიანმა რთული პოზიციიდან გარდასახა და წონასწორობა აღადგინა – 34:34.

განითლებულ დროზე კარის წინ 45 მეტრში ხვამლი შეტევაში დაჯარიმდა, მაგრამ რაგბის განგებამ წასაგებად არც ერთი გუნდი გაწირა.

**აია-ყაზბეგი 15:6**

ქუთაისის აიამ სტეფანწმინდის ყაზბეგი 15:6 დაამარცხა. მასპინძლები მთელი თამაშის განმავლობაში დომინირებდნენ და არაერთი სალელოვე შანსი შექმნეს, მაგრამ ხან შეცდომების და ხანაც სტუმრების თავგანწირული დაცვის გამო, მათი უმეტესობა გამოუყენებელი დარჩა. ქუთაისელებს ბონუს-ქულის მოპოვება სურდათ, პირველ ტაიმში ჯარიმები კარში არ ურტყეს და ყაზბეგი მატჩის ბოლომდე თამაშში დარჩა.

ანგარიში მე-18 წუთზე საბა ხონელიძემ გახსნა, როდესაც მარჯვენა ფრთაზე, 22-იანთან გაჭრა ხაზი და ლელომდე ირბინა. ნიკა ღლონტმა გარდასახა. აია კიდევ რამდენჯერმე შევიდა წითელ ზოლში, თუმცა სტეფანწმინდელებმა თავის დაცვა შეძლეს, ხოლო ტაიმის დასკვნით 10 წუთში ორჯერ მოიპოვეს ჯარიმის შესრულების უფლება, ოთარ ტალახაძემ 55 და 45 მეტრიდან დარტყმები ზუსტად შეასრულა და ტაიმი 7:6 დასრულდა.

49-ე წუთზე მასპინძლებმა მეორე ლელო გაიტანეს: შეტევა საკუთარი 22-იდან დაიწყეს და, ფაქტობრივად, მთელმა გუნდმა მიიღო მონაწილეობა, ბოლოს კი, ბურთი მარჯვენა ალამთან გიორგი ნიკოლაძემ დაამიწა. რადგან უპირატესობის ქულაში ასახვა ვერ ხერხდებოდა, 71-ე წუთზე გუგა მახარეიშვილმა ჯარიმის კარში დარტყმა გადაწყვიტა და აიას 3 ქულა შესძინა. ბოლოს მასპინძლები ნიკა



ღლონტის წითელი ბარათის გამო მოედანზე კაცნაკლულები დარჩნენ, მაგრამ ყაზბეგმა ამით ვერ ისარგებლა და უქულოდ დარჩა.

**არესი-ყოჩები 36:41**

„აია არენაზე" შეკრებილმა მაყურებელმა საინტერესო ორთაბრძოლა იხილა, რომელმაც გარდამავალი უპირატესობით ჩაიარა. გუნდებმა ჯამში 5-5 ლელო გაიტანეს, მატჩის ბედი კი დასკვნით წუთებში ცენტურიონი ლაშა მალაღურაძის ჩუბინობამ გადაწყვიტა.

ყოჩები პირველ ტაიმში სამჯერ დაწინაურდა, მაგრამ არესმა წონასწორობა სამივეჯერ აღადგინა, ხოლო მეორე ტაიმში წინ 10 ქულითაც გავიდა, მაგრამ სტუმრებმა მაინც შეძლეს გარდატეხის შეტანა.

მატჩში ჩხუბიც ატყდა და გუნდები მოედანზე 13-13 კაცის ამარა დარჩნენ. ამ დროს არესმა არსენ მაჩალაძის ლელოთი ლიდერობა ერთხელაც დაიბრუნა, მაგრამ გარდასახვა არაზუსტი იყო და მალაღურაძემ 75-ე წუთზე, 45 მეტრიდან გატანილი არეკნით ყოჩები საბოლოოდ დააწინაურა, ორიოდე წუთში კი ჯარიმით საბოლოო შედეგი დააფიქსირა – 36:41.

**ხარები-არწივები 49:43**

საქართველოს ჩემპიონმა რუსთავის ხარებმა, მატჩის დებიუტში 19-ქულიანი ჩამორჩენის მიუხედავად, ოზურგეთის არწივებს 49:43 სძლია და სეზონში მეხუთე გამარჯვება მოიპოვა.

რუსთაველებს 22 ქულა მოუგროვდათ და სატურნირო ცხრილში მე-7 ადგილზე აღზევდნენ. არწივებს კი, თავგანწირული თამაში ნუგეშ-ქულად დაუფასდა, ჯამში 7 გაუხდა და კვლავ ბოლოსწინა, მე-9 პოზიციაზეა.

არადა, გურული გუნდი, შესაძლოა, სულაც უქულოდ დარჩენილიყო, მაგრამ ფრედერიქსმა არწივთა ლელო რთული პოზიციიდან ზუსტად გარდასახა, რამაც განითლებულ დროზე ჯარიმით სხვაობის 6 ქულამდე დაყვანის შესაძლებლობა მისცა – 43:49.

**ბათუმი-აკადემია 89:5**

ბათუმმა თბილისის აკადემიას 13 ლელო გაუტანა და 89:5 დაამარცხა. სტუმართა ერთადერთი ლელო მატჩის დებიუტში მუსლიმ კოცოვმა, მე-8 წუთზე გაიტანა და იმ მომენტისთვის სხვაობა 7 ქულამდე დაიყვანა. სხვა მხრივ მასპინძლები სრულად დომინირებდნენ.

ლუკა ვადაჭკორიამ, მატეუ სეკელემ და ზურა ნინიძემ ორ-ორი ლელო გაიტანეს, ხოლო თორნიკე გაბელაიამ, მამუკა ნინიძემ, აუსტინ პრინსმა, ლაშა ფოფხაძემ, გიორგი წიკლაურმა, გიორგი მენაბდემ და ტატო კეშელავამ 5-5 ქულა მიითვალეს. მამუკა ნინიძემ 12 გარდასახვა გამოიყენა.

ბათუმმა „სარბიელის სინი" შეინარჩუნა და 34 ქულით მესამე ადგილზეა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლელო | 10 | 8 | 1 | 1 | 315-187 | 36 |
| 2.აია | 10 | 7 | 0 | 3 | 345-168 | 35 |
| 3.ბათუმი | 10 | 7 | 0 | 3 | 334-134 | 34 |
| 4.ყოჩები | 10 | 7 | 0 | 3 | 258-185 | 31 |
| 5.ხვამლი | 10 | 5 | 1 | 4 | 304-197 | 25 |
| 6.არესი | 10 | 5 | 0 | 5 | 287-255 | 24 |
| 7.ხარები | 10 | 5 | 0 | 5 | 258-217 | 22 |
| 8.ყაზბეგი | 10 | 4 | 0 | 6 | 246-193 | 20 |
| 9.არწივები | 10 | 1 | 0 | 9 | 273-380 | 7 |
| 10.აკადემია | 10 | 0 | 0 | 10 | 55-736 | 0 |

# ლევან მაისაშვილი: „ჩელენჯ ქაფზე შეცდომა ძვირად ფასობს"

9 დეკემბერს „მიხეილ მესხზე" ქართული რაგბის ისტორიული მატჩი გაიმართება. პირველი ქართული ფრენჩაიზი შავი ლომი ჩელენჯ ქაფის სადებიუტო მატჩს 150-წლიანი ისტორიის მქონე ინგლისური გრანდის, გლოსტერის წინააღმდეგ გამართავს.

ლევან მაისაშვილის გუნდი „შევარდენის" სანაკრებო ბაზაზე შეიკრიბა და მოახლოებული თამაშისთვის ემზადება. მაისაშვილის თქმით, ამ ტურნირში ქართული კლუბის მონაწილეობა უკვე დიდი დაფასებაა.

**ლევან მაისაშვილი:**

– მეტოქის თამაშის ანალიზი გავაკეთეთ და, შესაბამისად, ვემზადებით. ამ დონის გუნდთან შავ ლომს ჯერ არ უთამაშია. მოწინააღმდეგე პრემიერშიფის წარმომადგენელია, მის და სუპერ თასზე მონაწილე გუნდებს შორის განსხვავება, ცა და დედამიწაა. აქ შეცდომა უფრო ძვირად ფასობს და დიდი მნიშვნელობა ექნება დისციპლინას, ბალანსს შეტევასა და დაცვას შორის.



ჩელენჯ ქაფში ჩართვა ქართული რაგბის დიდი დაფასებაა და მნიშვნელოვანია, ღირსეულად წარვდგეთ. ამ ბიჭებისთვის ესაა შანსი, საკუთარი შესაძლებლობები აჩვენონ და სანაკრებო ვარსკვლავების წინააღმდეგ ითამაშონ. თუ საქართველოში რაგბი ვინმესთვის მნიშვნელოვანია, 9 დეკემბერს აუცილებლად უნდა მოვიდეს და შავ ლომს უქომაგოს. ჩვენი გუნდი პროფესიულ კლუბად ყალიბდება, სულ სხვა ეტაპზე გადადის, სხვა ხარისხის თამაშები ელოდება და ეს არის გზა შემდგომი განვითარებისთვის.

გეტყვით, რომ გლოსტერთან თამაშის წინ, შავი ლომის გაფართოებულ შემადგენლობას 4 მორაგბე დაემატა: გელა მახარაშვილი, გიორგი ნიკოლაძე, ალიკო შამილიშვილი და საბა კურტანიძე. შავი ლომის სამწვრთნელო შტაბი ყოველდღიურ რეჟიმში აკვირდება დიდი 10-ის შეხვედრებს და არაა გამორიცხული, რომ სამომავლოდ გაფართოებულ რაზმში სხვა მოთამაშეებიც გამოჩნდნენ.

– იმისათვის, რომ ხარისხიანი ვარჯიშები გვქონდეს, მორაგბეებს 20 წლამდე ნაკრებიდან პერიოდულად ვიმატებთ. ეს მათთვისაც საინტერესო გამოცდილებაა და ჩვენთვისაც კარგია. დიდი 10-ის ყველა თამაშს ვაკვირდებით და საჭიროების შემთხვევაში, გამორჩეული გაფართოებულ შემადგენლობაში შეგვყავს. ეს არ ნიშნავს, რომ თამაში აუცილებლად ყველას მოუწევს, მაგრამ შავი ლომის გაფართოებულ შემადგენლობაში მოხვედრა უკვე დიდი აღიარებაა.

ამ ოთხიდან რომელიმე თამაშის მოგებაც ურთულესი ამოცანა იქნება, მაგრამ ვეცდებით, მაქსიმალურად ხარისხიანი რაგბი ვითამაშოთ და უძლიერეს მეტოქეებთან ძალები მოვსინჯოთ. ახლა გამოჩნდება, რამდენად ვართ მზად, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ჩელენჯ ქაფზე სტაბილურად მონაწილეობის შემთხვევაში, სამომავლოდ ჯგუფიდან გასვლაც რეალისტური იქნება. ამ ეტაპზე კი, ეს ძალიან რთულია. ერთია, ვეცდებით, ჩვენი მაქსიმუმი გამოვავლინოთ და ვნახოთ, რას ეყოფა ეს მაქსიმუმი.

# საქართველოს ნაკრებმა მეორე ადგილი ურთიერთშეხვედრების გამო დაკარგა



საქართველოს ქალთა ნაკრებმა ერთა ლიგის პირველ გათამაშებაში ასპარეზობა დაასრულა.

C დივიზიონის ჯგუფის დასკვნითი შეხვედრა ჩვენმა გუნდმა ჯგუფის დაუმარცხებელ ლიდერთან, თურქეთის ნაკრებთან ქალაქ მერსინში 0:2 დათმო.

ირის ანტმანის გუნდი თურქეთში შესუსტებული შემადგენლობით ჩავიდა. ტრავმისა და დისკვალიფიკაციების გამო ხატია ჭყონია, ნინო პასიკაშვილი, სალომე გასვიანი, ანა ჩემინავა და ლელა ჭიჭინაძე ვერ ეხმარებოდნენ.

მასპინძლებმა ორივე გოლი პირველ ტაიმში გაიტანეს და საქართველოს ნაკრები, რომელსაც შანსი ჰქონდა ჯგუფი მეორე ადგილით დაესრულებინა, შემდეგ ეტაპზე არ გაუშვა.

საბოლოოდ, ექვს მატჩში მოპოვებული 18 ქულით ჯგუფის გამარჯვებული თურქეთის ნაკრები გახდა. საქართველოს, ლიეტუვის და ლუქსემბურგის ნაკრებმა კი, ასპარეზობა 5 ქულით დაასრულეს. ყველაფერი ურთიერთშეხვედრებმა გადაწყვიტა: ლიეტუვა მეორეზე გავიდა, ლუქსემბურგი – მესამეზე, ხოლო საქართველო ბოლოზე დარჩა.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## შედეგები

**5 დეკემბერი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ვულვზი-ბარნლი ............ 1:0
ლუთონი-არსენალი ............ 3:4

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.არსენალი | 15 | 11 | 3 | 1 | 33-14 | 36 |
| 2.ლივერპული | 14 | 9 | 4 | 1 | 32-14 | 31 |
| 3.სიტი | 14 | 9 | 3 | 2 | 36-16 | 30 |
| 4.ასტონ ვილა | 14 | 9 | 2 | 3 | 33-20 | 29 |
| 5.ტოტენჰემი | 14 | 8 | 3 | 3 | 28-20 | 27 |
| 6.ნიუკასლი | 14 | 8 | 2 | 4 | 32-14 | 26 |
| 7.მანჩესტერი | 14 | 8 | 0 | 6 | 16-17 | 24 |
| 8.ბრაიტონი | 14 | 6 | 4 | 4 | 30-26 | 22 |
| 9.ვესტ ჰემი | 14 | 6 | 3 | 5 | 24-24 | 21 |
| 10.ჩელსი | 14 | 5 | 4 | 5 | 25-22 | 19 |
| 11.ბრენფორდი | 14 | 5 | 4 | 5 | 22-19 | 19 |
| 12.ვულვზი | 15 | 5 | 3 | 7 | 20-25 | 18 |
| 13.კრ.პალასი | 14 | 4 | 4 | 6 | 14-19 | 16 |
| 14.ფულემი | 14 | 4 | 3 | 7 | 16-26 | 15 |
| 15.ნოტინგემი | 14 | 3 | 4 | 7 | 16-22 | 13 |
| 16.ბორნმუთი | 14 | 3 | 4 | 7 | 16-30 | 13 |
| 17.ლუთონი | 15 | 2 | 3 | 10 | 16-30 | 9 |
| 18.ევერტონი | 14 | 5 | 2 | 7 | 15-20 | 7 |
| 19.ბარნლი | 15 | 2 | 1 | 12 | 15-33 | 7 |
| 20.შეფილდი | 14 | 1 | 2 | 11 | 11-39 | 5 |

შენიშვნა: ევერტონს დაკლებული აქვს 10 ქულა

**საფრანგეთი. ლიგა 2**

ანჟე-გრენობლი ............ 1:0
აიაჩო-ლავალი ............ 2:0
დიუნკერკი-ბასტია ............ 0:5
კევიი-ბორდო ............ 3:2
კონკარნო-ოსერი ............ 1:2
პო-ვალანსიენი ............ 3:1
სტ.ეტიენი-გენგამი ............ 1:3
ტრუა-ამიენი ............ 2:0
პირიზი-როდეზი ............ 2:0

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ტიროლი-რაპიდი ............ 1:2
ალტახი-ლუშტენაუ ............ 3:0

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

როსი-მოზერველი ............ 3:0

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ხახვით, ძმრითა და პილპილით შეზავებული სამწვადე ხორცი; 2. მარადმწვანე წიწვოვანი ხე; 3. გემის, თვითმფრინავის ოფიციანტი; 4. აეროპორტი პეკინში; 7. გემების სადგომი ნავსადგურში; 9. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 12. მოთხოვნა, რომელსაც თან ახლავს მუქარა; 14. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 15. პოლიტიკური პარტიის ნაწილი; 17. სამონასტრო კომპლექსი ჯავახეთში; 20. შოკოლადის მწარმოებელი ამერიკული ფირმა.

**თარაზულად:** 5. ქართველი დრამატურგი, მწერალი, სცენარისტი, მარიონეტული თეატრის ფუძემდებელი საქართველოში; 6. პარიზის ძველი სახელწოდება; 8. მხარე გერმანიაში; 10. სათავგადასავლო კინოს ერთ-ერთი ჟანრი; 11. ერთი პროფესიის ხელოსანთა გაერთიანება ძველად; 13. ქართული კონიაკი; 16. ქალაქ ფოთის პირველი მერი; 18. ფინეთის ისტორიული სახელწოდება; 19. სიკეთე, კეთილი საქმე; 21. სტადიონი ლონდონში; 22. ბუნებრივი ნაკრძალი აჭარაში; 23. ორადგილიანი ველოსიპედი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. სანჩესი; 2. კორომი; 3. ფოლკნერი; 4. ღრღილი; 7. მარგალიტი; 8. ბუდეშური; 12. ნიშადური; 14. კადილაკი; 16. პენალტი; 17. მაკლერი; 19. ცემი; 20. ზარა.

**თარაზულად:** 5. ვაპორეტო; 6. ოჩოპინტრე; 9. ნევადა; 10. მატანი; 11. ოდიში; 13. ნიყვი; 15. ბაიერი; 18. სესხი; 21. ყანდარელი; 22. ლებარდე; 23. მიამიტი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ზაქათალა; 2. ჰალვა; 3. ტრაგედია; 4. იამაჰა; 7. ჯინსი; 9. სტეპი; 12. სტეფენსონი; 14. ალმასი; 15. პრიკაზი; 17. ჰეზბოლა; 20. სიათა.

**თარაზულად:** 5. საგურამო; 6. გერნიკა; 8. სევილია; 10. მასანდრა; 11. ფლინტი; 13. ამარეტო; 16. ვილჰელმი; 18. მედეა; 19. ნიყვი; 21. მიქსტი; 22. ოზურგეთი; 23. დუბლინი.

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

7 დეკემბერი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.6860 | ევრო — 2.8987 |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.3846 | 100 რუსული რუბლი — 2.8982 |

**ამინდის პროგნოზი 7 დეკემბრისათვის**




## მბაპეს პსჟ-ში დარჩენა არ სურს



პსჟ-ს ფორვარდი კილიან მბაპე დიდი ალბათობით სეზონის ბოლოს გუნდს დატოვებს, რადგან მას კონტრაქტი უმთავრდება და ის ჯერჯერობით უარს ამბობს კონტრაქტის გახანგრძლივებაზე.

აღსანიშნავია ისიც, რომ თვითონ კილიანი თავის მომავალზე კომენტარს არ აკეთებს, თუმცა არსებობს დიდი ალბათობა, რომ ის კარიერას მადრიდის რეალში გააგრძელებს, რადგან მას დიდი ხანია სურს ამ გუნდში თამაში.

## ტომას მიულერმა შესაძლოა სეზონის ბოლოს ბაიერნი დატოვოს



მიუნხენის ბაიერნის ერთ-ერთმა ლიდერმა ტომას მიულერმა შესაძლოა სეზონის ბოლოს გუნდი დატოვოს, რადგან ის სტაბილურად ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი აღარ არის და ბაიერნი აქცენტს ახალგაზრდა მოთამაშეებზე აკეთებს.

## ფრენკი დე იონგი: „ნელ-ნელა ოპტიმალურ ფორმას ვუახლოვდები“



ბარსელონას ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა ფრენკი დე იონგმა თავის ფორმაზე ისაუბრა და თქვა, რომ ტრავმის შემდეგ ის ნელ-ნელა უახლოვდება ოპტიმალურ კონდიციებს. დე იონგის თქმით, მას სურს, რომ ტრავმა აღარ მიიღოს და ბარსელონას ტიტულების მოგებაში დაეხმაროს:

– რთულია, როდესაც ტრავმა გაქვს და შენ გუნდს ვერ ეხმარები, ამიტომ იმედი მაქვს, რომ ეს აღარ მოხდება. ბოლო თამაშებში თავს უკეთესად ვგრძნობ და ვიცი, რომ მალე ოპტიმალურ ფორმაში ვიქნები.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ბალენსიაგას კოლექციების გაყიდვებმა 2.5 მილიარდი დოლარი შეადგინა



ბალენსიაგას ბრენდის მიერ გამოშვებული კოლექციების გაყიდვებმა გასულ წელს 2.5 მილიარდი დოლარი შეადგინა. ბრენდის ხელმძღვანელობა აღიარებს, რომ ქართველი დიზაინერის დემნას მისვლის შემდეგ, სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა.

**დემნა:**

– გასულ წელს ბალენსიაგას კოლექციების გაყიდვებმა 2.5 მილიარდი დოლარი შეადგინა. ორ კვირაში მალაზიაში ახალი პროდუქტი უნდა შევიდეს, 2 თვეში – ახალი კოლექცია, 6 თვეში – შოუ და ეს უბრალოდ არასდროს ჩერდება. ტვინი უნდა დააპროგრამო, რომ ახალი იდეები საჭირო კვირას და თვეს მოგივიდეს, იდეების მანქანა უნდა იყო. ბიზნესშეხვედრები, მერჩენდაიზერები, დაუსრულებელი „პრესტიჟული“ წვეულებები. ზოგჯერ უბრალოდ დაღლილი ხარ და არ გინდა, მაგრამ მაინც უნდა მიხვიდე და ყველას გაუღიმო. მოდაში შემოქმედები გადაიწვნენ, ეს პრობლემაა, მაგრამ ხმამაღლა არავის უნდა ლაპარაკი.

***– თქვენი სამოსი პოდიუმზე ყველანაირ მოდელს აცვია.***

– და რა არის ამაში ცუდი? რატომ უნდა იყოს ყველა მოდელი ერთი ზომის და ასაკის, ქუჩაში როცა დადიხართ, ტანსაცმელი მარტო გამხდრებს და ახალგაზრდებს აცვიათ? არ მჯერა ასეთი სისულელეების.

***– ამერიკაში რატომ გადაწყვიტეთ ახალი კოლექციის ჩვენება?***

– ასეთ რაღაცას პარიზის და ევროპის ქუჩაში ვერ გავაკეთებდით, ეს ძალიან ამერიკულია.

***– ხედავთ საკუთარ თავს ამერიკულ მოდაში?***

– არა. საკუთარ თავს ამერიკულ მოდაში არ ვხედავ, მე თავს ევროპულ მოდას ვაკუთვნებ, მაგრამ ამერიკულ სტილს უდიდესი გავლენა აქვს ინდუსტრიაზე და ჩემზეც და ძალიან მიყვარს ქუჩის სტილი – ჯინსები, ჰუდები, რაც ყოველდღე გვაცვია, თითქმის ყველაფერი ამერიკიდან მოდის.

***– რატომ აირჩიეთ ჩვენების მოსაწყობად ლოს-ანჯელესი?***

– მიყვარს ლოს-ანჯელესში ყოფნა, ვცდილობ, ყოველ წელს ჩამოვიდე. ცოტა გოიმური, მაგრამ ლამაზი სახლი მაქვს – მერილინ მონროს სტილში. პალმ სპრინგსკენ დაიძრები და გზად კარგი სახელოვნებო გალერეები და ვინტაჟური შოპინგ ცენტრები გხვდება. ჩემთვის ეს არის ლოს-ანჯელესი.

***– როგორია თქვენთვის თანამედროვე მოდის ინდუსტრია?***

– მოდა კრეატიული ინდუსტრიაა, მაგრამ ბიზნესია და ბიზნესი ფულზე დგას. ბევრი ნიჭიერი დიზაინერი იკარგება, რადგან ამის გააზრება უჭირთ.

***– ქსენოფობიურია მოდის სამყარო?***

– მოდა ერთ-ერთი ყველაზე ქსენოფობიური სფეროა. მთელი ჩემი კარიერა ამასთან გამკლავება მიწევდა. არ გენდობიან, თუ იტალიელი ან ფრანგი არ ხარ.

***– ქართველები თუ არიან მოდაში?***

– მოდაში ქართველები არ არიან. სისტემისთვის მოხეტიალე უცხოელი ვიყავი. ვიბრძოლე და საპასუხოდ ბევრი დარტყმაც მივიღე. ახლა მიღებული ვარ, თითქოს არაფერი მომხდარა.

***– რამდენად ექცევით ჩარჩოებში?***

– მძულს ჩარჩოები, იარლიყები. ვერ ვიტან, როცა იარლიყებს მაკრავენ და ჩარჩოებში მაქცევენ. მოდას ყველაფერზე მეტად ჩარჩოები და იარლიყები უყვარს. მდიდრული, არამდიდრული, ქუჩის მოდა, მაღალი მოდა, კარგი, ცუდი, პოპულარული, ხმაურიანი – ყველაფერი ერთი და იგივეა, ვის ადარდებს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ნინი ბრეგვაძე ამერიკული „ვოისის“ ნახევარფინალისტია



ქართველი მომღერალი ნინი ბრეგვაძე ამერიკული „ვოისის“ ნახევარფინალში გადავიდა.

მომღერალმა უდიდესი წარმატებით გაიარა ბრმა მოსმენების შესარჩევი ტური, რიგნის ტური, ნოკაუტრის ტური, საუკეთესო 12 კონკურსანტს შორის მოხვდა და ახლა უკვე შოუს ნახევარფინალისტთა შორისაა.

ნინი ბრეგვაძე ქართველმა მსმენელმა წლების წინ „ახალ ხმაში“ მონაწილეობისას გაიცნო, როდესაც უნიჭიერესმა მომღერალმა ჟიურის წევრებისგან უმაღლესი შეფასებები დაიმსახურა.

## სტეფანეს სიმღერა მოჰპარეს



მომღერალ სტეფანე მღებრიშვილს მისი ერთ-ერთი ჰიტი – „გაიღიმე“ მოჰპარეს. ქურდი „იქს ფაქტორის“ ერთ-ერთი მონაწილე, მომღერალი მერაბ ამზოევია.

მერაბმა სტეფანეს სიმღერა რუსულად გადააკეთა, „ნე ულეტაი“ – „არ გაფრინდე“ დაარქვა და რუსულ შოუ-ბიზნესში დამკვიდრება გადაწყვიტა.

ინტერნეტში გავრცელებული სიმღერა სტეფანემ ყველა გვერდიდან წააშლევინა და როგორც მოსალოდნელი იყო, რუსული სააგენტოებისგან ლანძღვა და გინება დაიმსახურა.

**სტეფანე:**

– მერაბ ამზოევმა რუსულად გადააკეთა ჩემი სიმღერა და თავის სიმღერის პონტში ასაღებდა. თითქმის ყველა ვიდეო წავშალეთ იუთუბიდან, ერთი დარჩა, მაგასაც წავაშლევინებთ. აეწვა სააგენტოს, რომ მაინც ავუკრძალე სიმღერა. „ცაკალელი რუსეთი“.

## გორიჯვრის ეკლესია უპატრონობით ინგრევა



VIII-IX საუკუნეებში აშენებული ულამაზესი გორიჯვრის ეკლესია უპატრონობით ნადგურდება.

**ინფორმაცია და ფოტოები დეკანოზმა ილია ჭიღლაძემ გაავრცელა:**

– უპატრონობით ინგრევა და ნადგურდება ტყედ ქცეული სოფელ ახშანის გორიჯვრის ეკლესია და მისი ფრესკები ახმეტის მუნიციპალიტეტში, კახეთში. აგებულია VIII-IX საუკუნეებში, მოხატულობა კი მე-16 საუკუნისაა და წვიმა რეცხავს ღია ცის ქვეშ დაუცველად დაგდებულს.

## გიორგი მასხულია თაღლითების მსხვერპლია



**დიზაინერი გიორგი მასხულია თაღლითების მსხვერპლი გახდა:**

– ძალიან სამწუხაროა, როცა ახლო ადამიანებიც გატყუებენ და თაღლითურად გექცევიან. ადამიანი, რომელიც ცხოვრობს დუბაიში, უნდა გამოეგზავნა ტელეფონი აიფონი, რომელიც შეიძინა ჩემმა ერთ-ერთმა მეგობარმა. წინასწარ გადავურიცხეთ 1.000 ლარი, საშველი არ დაგვაყენა, სანამ არ ჩავურიცხეთ. დაახლოებით 15 დღეა ტელეფონს ველოდებით. როცა ვუთხარით, რომ აღარ გვინდა ტელეფონი და თანხა უკან დაებრუნებინა, დაგვბლოკა სოც ქსელში. ვერ ვხდები, რამ გაგაგიჟათ, გაგამწარათ ასე, ადამიანებო. ფულმა ასე როგორ უნდა დაგახამოთ.

ვფიქრობ, რომ საკონსულო შევაწუხო. აქ პრინციპის ამბავია, თან ძალიან ბევრი ქეისი აქვს მას დუბაიში. ჩამოსვლაც აკრძალული აქვს საქართველოში, როგორც ვიცი – ვახო დარბაიძე ქოთუაშვილი – იცნობდეთ.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ბრილიანტის თითოეული გვერდი; 2. საქართველოს რაგბისტთა გუნდი; 3. გემის, თვითმფრინავის მართვის სპეციალისტი; 4. გასუფთავებული ნატეხი შაქარი; 7. მარმარილოსა და ეგეოსის ზღვების დამაკავშირებელი სრუტე; 8. მდინარე გაგრაში; 12. ელექტრონავიგაციური ხელსაწყო გემზე, რომელიც ავტომატურად აღნუსხავს გემის მიერ განვლილ გზას; 14. რაიმე სიდიდეების შეფარდების გამომსახველი გრაფიკული ნახაზი; 16. ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი; 17. მონასტრის მსახური; 19. ჩეხური მოტოციკლეტი; 20. ადამიანის გარემომცველი ბიოველი.

**თარაზულად:** 5. ქართული ტელეკომპანია; 6. ავტონომიური ოლქი ესპანეთში; 9. აქვსენტი ცაგარელის პიესა; 10. მაღალმთიანი კურორტი აჭარაში; 11. მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკება ბიჭვინთაში; 13. მდინარე გერმანია-პოლონეთის საზღვარზე; 15. მონტენეგროში მოთამაშე საქართველოს ნაკრების კალათბურთელი; 18. კუთხე საქართველოში; 21. ორკუზიანი აქლემი; 22. უაზრობა, შეუსაბამობა; 23. ნახშირის სახატავი ფანქარი.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**

